

სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

რიმა კუპრეიშვილი

კომუნიკაციური უნარის განვითარება ინგლისურ ენაში

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია

განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე განათლების
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: თამუნა ხეთაგური

ასოცირებული პროფესორი

გორი

2019

ანოტაცია

უცხოური ენების სწავლება ისახავს პრაქტიკულ მიზანს, კერძოდ, გულისხმობს სწავლების მთელი პროცესის კომუნიკაციურ მიმართულებას. მოსწავლეს უნდა მივცეთ ისეთი ცოდნა, რომ მან შეძლოს უცხოურ ენაზე მეტყველება, წარმატებული კომუნიკაცია სხვა კულტურის წარმომადგენლებთან, ენის ფლობის დამოუკიდებლად გაღრმავება და გამდიდრება. საჭიროა, კომუნიკაციის სტრატეგიების სწავლება, რადგან კომუნიკაციის სწავლება მოსწავლეებს საშუალებას აძლევს გაიადვილონ ენობრივი და მეტყველებითი მასალის შესწავლა. ასევე მნიშვნელოვანია, მოსწავლის მიერ მიღებული ცოდნა და გამოცდილება პრაქტიკაში იყოს გამოყენებული. კომუნიკაცია რთული ლინგვისტური პროცესია. ენა მეტყველებაში რეალიზდება. კომუნიკაცია კი გულისხმობს ორ ან მეტ ადამიანს შორის ზეპირ ან წერით მეტყველებას. ზეპირი მეტყველების განსახორციელებლად აუცილებელია თქმა და გაგება, რაც ქმნის კომუნიკაციის უნარ-ჩვევის განვითარების აუცილებლობას.

ნაშრომი მიზნად ისახავს ყველა იმ კომპონენტის გაანალიზებას, რომელიც ყველა მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს კომუნიკაციის სწავლებისას. იგი იკვლევს კომუნიკაციის სახეებს და სტრატეგიებს, კომუნიკაციის დროს წამოჭრილ პრობლემებსა და მათი გადაჭრის გზებს, ასევე კომუნიკაციის ტექნიკის განვითარებას.

ნაშრომში სიახლეა ექსპერიმენტი, რომელშიც წარმოდგენილია კომუნიკაციის ტექნიკების გამოყენება, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლეებს და მასწავლებლებს კომუნიკაციის პროცესის გაუმჯობესებაში.

R.G. Kupreishvili

The developing of communicative skills in teaching English

Annotation

Teaching foreign languages pursues the practical aim. Namely, it means absolutely communicational goal. We should provide the pupil the knowledge in order to enable them to speak in a foreign language, to communicate successfull with the representatives of other cultures to improve and enrich the level of the knowledge of the language independently. It is essential to teach communicative strategies, because teaching communication allows pupils to learn linguistic skills. It is also important that the learner's experience and knowledge should be used in practice. Communication is a difficult linguistic process. The language is realized in speech. Communication means oral or written relations between two or more people. Speech and understanding are urgent components for implementing oral communication. It is causes necessity of development of communication skills.

The goal of research is to analyzing all the components which every teachers should take into consideration while teaching communication. It explores all types and strategies of communication,solutions of the emerged problems and development of communication techniques.

The novelty of this work is the experiment where we talk about communication techniques which will help pupils and teachers to improve their communication process.

შინაარსი

შესავალი -----	6
თავი 1. კომუნიკაციის სწავლების ლიტერატურული მიმოხილვა	
1.1. კომუნიკაციის როლი უცხო ენის სწავლებაში -----	9
1.2. კომუნიკაციის სწავლების მიზნები და სტრატეგიები -----	10
1.3. კომუნიკაციის სწავლების დროს გასათვალისწინებელი პრინციპები -----	16
თავი 2. მოტივაცია კომუნიკაციის სწავლებისას	
2.1. მოტივაცია ინგლისური ენის სწავლების პროცესში -----	19
2.2. მოსწავლის მოტივაცია, მათი ჩართულობა და მიღწევები -----	20
2.3. ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების მნიშვნელობა სასწავლო პროცესში -----	23
თავი 3. ალტერნატიული მეთოდები და მიდგომები კომუნიკაციის სწავლებისას	
3.1. აუდიო-ლინგვალური მეთოდი -----	27
3.2. აუდიო-ვიზუალური მეთოდი -----	29
3.3. კომუნიკაციური მეთოდი -----	30
3.4. პირდაპირი მეთოდი -----	33
3.5. შინაარსზე დაფუძნებული მეთოდი -----	35
3.6. ბუნებრივი მეთოდი -----	36
3.7. Total Physical Response (TPR) სრული ფიზიკური რეაგირება/პასუხი -----	37
თავი 4. ინტერაქტიული სწავლების ფორმები	
4.1. ინდივიდუალური მუშაობა -----	39
4.2. წყვილებში მუშაობა -----	40
4.3. ჯგუფური მუშაობა -----	41
4.4. პროექტით მუშაობა -----	43

თავი 5. ექსპერიმენტი

5.1. ექსპერიმენტის მიზანი და მეთოდოლოგია -----	45
5.2. სირთულეები კომუნიკაციის სწავლებისას და პრობლემის მოგვარების გზები -----	55
5.3. გაკვეთილის გეგმა -----	57
რეფლექსია გაკვეთილის -----	67
დასკვნა -----	70
გამოყენებული ლიტერატურა -----	73

შესავალი

თემის აქტუალობა - ნაშრომი მიმოიხილავს ინგლისური ენის და კერძოდ კომუნიკაციის სწავლების შესახებ არსებულ ფსიქოლოგიურ, პედაგოგიურ თუ მეთოდურ ლიტერატურას, ახდენს არსებული ცოდნის ახლებურად გააზრებას თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში. მოცემულ ნაშრომში გაანალიზებულია მოსწავლეთა ასაკობრივი და ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური თავისებურებები, განხილულია ინგლისური ენის გაკვეთილზე კომუნიკაციის უნარ-ჩვევებზე მუშაობის ხერხები და გზები. კომუნიკაცია რთული და მეტად მნიშვნელოვანი მოვლენაა, რომელიც მოიცავს ინფორმაციის გადაცემას, მის მიღებასა და მიღებულ ინფორმაციაზე რეაგირების ეტაპებს. უცხო ენის სწავლების პროცესში სამეტყველო უნარებს შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს უცხო ენაზე მეტყველების უნარის განვითარებას, რაც სამიზნე ენის აქტიური გამოყენების გზით მიიღწევა. იმისათვის, რომ შემსწავლელმა შეძლოს უცხოენოვან გარემოში წარმატებით კომუნიკაცია, მას უნდა შევუქმნათ რაც შეიძლება მეტი შესაძლებლობა ივარჯიშოს ამ ენაზე ისეთ სიტუაციებში, რომლებშიც იგი თავისუფლად გამოხატავს საკუთარ აზრებსა და შეხედულებებს.

კვლევის მიზანია ასაკობრივ ჯგუფებში კომუნიკაციური უნარის ნაკლებობის მიზეზების დადგენა, პრობლემის დაძლევა, მისი როლი ინგლისური ენის სწავლებისას და მოსწავლეთა კომუნიკაციური უნარის გაზრდის ხელშეწყობისათვის არსებული გარემოს შეცვლა სხვადასხვა გზებითა და საშუალებებით.

კვლევის ობიექტია ინგლისური ენის შესწავლისთვის გამოყენებული მეთოდები და სამეტყველო უნარის განვითარებასთან დაკავშირებული თავისებურებები.

პედაგოგიურ ასპექტში - ნაშრომზე მუშაობისას გათვალისწინებული და გააზრებულია კომუნიკაციის სტრატეგიები.

ლინგვისტურ ასპექტში - გააზრებულია და განხილულია ის სირთულეები, რომლებსაც შეიძლება წააწყდნენ მოსწავლეები კომუნიკაციის პროცესში.

მეთოდურ ასპექტში - ინდივიდუალურადაა განხილული მოსწავლეებში კომუნიკაციური უნარების განვითარების გზები.

კვლევის მეთოდები: სამეტყველო უნარ-ჩვევების განვითარებასთან დაკავშირებით, ნაშრომში განხილულია განსხვავებულ მეთოდოლოგიათა ძირითადი პრინციპები. შესწავლილ იქნა კომუნიკაციური უნარების მეთოდოლოგიური მიდგომა.

კვლევის მეცნიერული ჰიპოტეზა: იმისათვის, რომ მოსწავლემ შეძლოს კომუნიკაციის დამყარება ინგლისურ ენაზე, მიიღოს ზოგადი განათლება, ამისათვის მნიშვნელოვანია სამიზნე ენის აქტიური გამოყენების გზით მიღწევა. აღნიშნული შედეგის მიღწევა შეგვიძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გაკვეთილზე მოსწავლეებს შევუქმნით უცხოენოვან გარემოს. ხშირი ლაპარაკის საშუალებით ისინი შეძლებენ ინგლისურ ენაზე აზროვნებას, სწრაფად ლაპარაკს და ფრაზებს გამოიყენებენ პრაქტიკაში ელემენტარული კომუნიკაციის დონეზე.

კვლევის მეცნიერული სიახლე: ნაშრომი წარმოადგენს კომუნიკაციის პროცესს და კომუნიკაციის დროს გამოყენებული ტექნიკების ანალიზს. სიახლეს კი წარმოადგენს, რომ ჩატარებულია და წარმოდგენილია ექსპერიმენტული გაკვეთილი, რომელიც მოსწავლეებს ყოფითი კომუნიკაციის დამყარებაში დაეხმარება.

კვლევის თეორიული და პრაქტიკული ღირებულება: ნაშრომში განხილულია ის მეთოდები და სტრატეგიები, რომლებიც მასწავლებლებსაც და სტუდენტებსაც დაეხმარება სწავლების პროცესში კომუნიკაციური უნარების განვითარებისათვის.

კვლევის შედეგები: კვლევის შედეგად დადგინდა, იმისათვის რომ ინგლისურ ენაში გაიზარდოს კომუნიკაციური უნარ-ჩვევები, აუცილებელია პირველ რიგში მოსწავლეებში გაიზარდოს თავდაჯერებულობის გრძნობა. შევთავაზოთ მრავალფეროვანი აქტივობები, როგორცაა: როლური თამაშები, ინტერვენციებში მონაწილეობა და ანიმაციური ფილმების ნახვა, კომიქსების შექმნა, მინი-პროექტები და პრეზენტაციები.

ნაშრომის სტრუქტურა: ნაშრომი შედგება შესავალი ნაწილის, ხუთი თავისაგან და გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალისაგან.

I თავში მოცემულია ინგლისურ ენაში კომუნიკაციის სწავლების ლიტერატურული მიმოხილვა. ამ თავში წარმოდგენილია კომუნიკაციის სწავლების დროს გასათვალისწინებელი პრინციპები, კომუნიკაციის სწავლების მიზნები და სტრატეგიები, რაც დაეხმარებათ მოსწავლეებს განვიითარონ კომუნიკაციური უნარ-ჩვევები, გაიმდიდრონ ლექსიკა, შეძლონ ყოფითი კომუნიკაციის დამყარება და გაგება აზრის. ამ სტრატეგიების და მეთოდების გამოყენებით მასწავლებელმა უნდა შეძლოს გამოარკვიოს მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები და

მიდგომები. რა სჭირდებათ მათ ინდივიდუალური, წყვილური, ჯგუფური თუ საერთო საკლასო ორგანიზების ფორმა.

II თავში აღწერილია მოტივაციის როლი კომუნიკაციის სწავლებისას და ინგლისური ენის სწავლების პროცესში. მოსწავლის მოტივაცია, მათი ჩართულობა და მიღწევები. რა ახდენს უდიდეს გავლენას მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებაზე, ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების მნიშვნელობა სასწავლო პროცესში.

III თავში მოცემულია ალტერნატიული მეთოდებისა და მიდგომების გამოყენება კომუნიკაციის სწავლებისას. აქაც აუცილებელია მასწავლებელმა გაითვალისწინოს მოსწავლეთა საჭიროებებიდან გამომდინარე რომელი მეთოდი უნდა იქნეს გამოყენებული მასწავლებლის მიერ: გრამატიკულ-მთარგმნელობითი მეთოდი, აუდიო-ლინგვალური მეთოდი, აუდიო-ვიზუალური მეთოდი, კომუნიკაციური მეთოდი, პირდაპირი მეთოდი, შინაარსზე დაფუძნებული მეთოდი, ბუნებრივი მეთოდი თუ სრული ფიზიკური რეაგირება.

IV თავში წარმოდგენილია ინტერაქტიული სწავლების ფორმები: ჯგუფური მუშაობა, წყვილებში მუშაობა, ინდივიდუალური მუშაობა, პროექტით მუშაობა და მათი როლი უცხო ენის კომუნიკაციის სწავლებისას. თითოეული ფორმა ხელს უწყობს მოსწავლეთა კომუნიკაციის განვითარებას.

V თავში მოცემულია ექსპერიმენტის მიზანი და მეთოდოლოგია, აღწერა, სირთულეები კომუნიკაციის სწავლებისას და პრობლემის მოგვარების გზები, გაკვეთილის გეგმები, ექსპერიმენტის შედეგები და დასკვნა.

თავი 1. კომუნიკაციის სწავლების ლიტერატურული მიმოხილვა

1.1. კომუნიკაციის როლი უცხო ენის სწავლებაში

კომუნიკაცია (ლათ. communicatio – დაკავშირება, საყოველთოდ გადაქცევა) წარმოადგენს რთულ პროცესს, რომელიც გულისხმობს ინფორმაციის ან იდეების გაცვლას ვერბალურად (სიტყვიერად), არავერბალურად (არასიტყვიერად), თუ წერილობით (როცა ინფორმაციის გაცვლა ხდება წერილობით). (სწავლება და შეფასება. 2012წ.). ვერბალური კომუნიკაცია სიტყვების, მეტყველების საშუალებებით მიმდინარე კომუნიკაციაა. (ინტერპერსონალური კომუნიკაცია, 2010წ.). არავერბალურ კომუნიკაციაში შედის ადამიანის ჩაცმულობა, ქესტიკულაცია, პოზა, სახის გამომეტყველება (მიმიკა), მანერები, მზერა. არავერბალური კომუნიკაცია აძლიერებს ან ამცირებს ვერბალურს და დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ემთხვევა ერთმანეთს ვერბალური და არავერბალური სიგნალები. ხმას ტონალობისა და ინტონაციის შესაბამისი ქესტიკულაცია და სახის გამომეტყველება უნდა ახლდეს. მაგალითად, შეიძლება შეკითხვა ისე წარმოთქვას მასწავლებელმა, რომ მოსწავლემ მასში თხოვნა შეიგნოს. ტონი და ხმის ტემბრი ხშირად თითქოს ცვლის სიტყვების შინაარსსაც კი. ეფექტიანი კომუნიკაცია გულისხმობს არამართო ინფორმაციის მიწოდებას, არამედ მიღებას, რაც ითვალისწინებს მოსმენას, დაკვირვებასა და შეგრძნებას. (სწავლება და შეფასება. 2012წ.).

სწორად წარმართული კომუნიკაცია ყოველთვის მნიშვნელოვანია, რადგანაც ადამიანი სოციალური არსებაა, რომელსაც ყოველდღიურად უამრავი კონტაქტის დამყარება უხდება, ამიტომაც კომუნიკაციის ეფექტურ წარმართვას უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმდენად, რამდენადაც ის გვიმარტივებს ცხოვრებას, გვაძლევს სასურველ შედეგს და ა.შ.

(<https://www.facebook.com/notes/ibsu-training-center-შავი-ზღვის-საერთაშორისო-უნივერსიტეტის-ტრენინგ-ცენტრი/კომუნიკაცია-რაობა-და-სახეები/775384709146728/>).

მეთოდის ისტორიაში კომუნიკაციის სწავლების როლი სხვადასხვა დროს სხვადასხვა ქვეყანაში იყო საკმაოდ ცვალებადი. უმეტეს შემთხვევაში ეს დაკავშირებულია საზოგადოების სოციალურ შეკვეთასთან, უცხო ენის გამოყენების მოთხოვნილებებთან, რომელიც უკავშირდება საერთაშორისო გაცვლების ხასიათს. ახლანდელ დროში, ზეპირი მეტყველება და ლაპარაკი, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი იწვევს წინ. სხვადასხვა ასაკის მოსწავლეები, როდესაც იწყებენ

უცხო ენის შესწავლას, ყველაზე მეტად უნდათ ისწავლონ ლაპარაკი ამ ენაზე. მშობლები, როდესაც აფასებენ შედეგს და მათი დანახარჯების ეფექტურობას, პირველ რიგში აქცევენ ყურადღებას მათი შვილების ზეპირმეტყველების ურთიერთობის უნარის ცოდნას. (Соловова. Е.Н. 2002.). თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად, საზოგადოებრივი მოთხოვნა და ენის ლინგვისტური ბუნება განაპირობებს უცხოური ენის სწავლების პრაქტიკულ მიზანს. ეს მდგომარეობს კომუნიკაციური კომპეტენციის განვითარებასა და მოსწავლის მზადყოფნაში, რომ განახორციელოს სამეტყველო ურთიერთობა ზეპირად და წერილობით. (გიორგობიანი, ლ. კახიშვილი, ლ. მაცხოვრებელი, გ. ქვლივიძე, რ. 2004 წ.).

უცხო ენაზე ეფექტურად კომუნიკაციის უნარის გამომუშავება უცხო ენის სწავლების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიზანია. იმისათვის, რომ შემსწავლელმა შეძლოს უცხოენოვან გარემოში წარმატებით კომუნიკაცია, მას უნდა შეეუქმნათ რაც შეიძლება მეტი შესაძლებლობა ივარჯიშოს ამ ენაზე ისეთ სიტუაციებში, რომლებშიც იგი თავისუფლად გამოხატავს საკუთარ აზრებსა და შეხედულებებს. ენის პრაქტიკა მაქსიმალურად უნდა ასახავდეს რეალურ ცხოვრებისეულ კომუნიკაციას ინფორმაციისა და აზრების გაცვლა-გამოცვლით. (Swan.M. and Walter. C.1990).

1.2. კომუნიკაციის სწავლების მიზნები და სტრატეგიები

როდესაც ვსაუბრობთ უცხოური ენის სწავლებაზე, იგულისხმება ენის უნარ-ჩვევების (მოსმენა, წერა, ლაპარაკი, კითხვა) სწავლება. (ჩინჩალაძე, ლ. 2008წ.). მოსმენა და კითხვა რეცეპტიული უნარ-ჩვევებია, ვინაიდან ძირითადი ყურადღება მიმართულია ინფორმაციის მიღებაზე, ხოლო ლაპარაკი და წერა პროდუქტიული, რადგან მათი მთავარი მიზნებია ინფორმაციის შექმნა. (Nunan, D. 2005).

კომუნიკაციის ფუნქციები შეიძლება იყოს :

1. კონტაქტური (კონტაქტის დამყარება, ინფორმაციის მიღებისა და გადაცემის მზაობა);
2. ინფორმაციული (ინფორმაციის გაცვლა, კითხვა-პასუხი);
3. მიზნობრივი (ან მიზნობრივად მასტიმულირებელი);
4. მაკორდინირებელი(ურთიერთკოორდინაცია და ერთობლივ მოქმედებებში შეთანხმება);
5. გაგების ფუნქცია (აზრის ადეკვატური გაგებისა და ზოგადად გაგების ფუნქცია):

6. ემოციური ფუნქცია (ემოციების გაცვლა);

7. ურთიერთობების დამყარების ფუნქცია (საკუთარი ადგილის ფიქსაცია სოციუმში);

8. გავლენის მოხდენის ფუნქცია (პარტნიორის მდგომარეობის შეცვლა, საქციელის, პიროვნული და აზრობრივი დამოკიდებულებების ცვლილებანი).

კომუნიკაციის მიზნებია: შეტყობინება, გაფრთხილება, აღწერა, განმარტების მიცემა, გართობა, დარწმუნება და ა.შ. მეტყველების დროს კომუნიკაციაში ჩართულ პირთა ქცევები გარკვეულ მიზანს ექვემდებარება. მიზნის მისაღწევად კი გამოიყენება სხვადასხვა ხერხები:

- კომუნიკაციური სტრატეგიები;
- კომუნიკაციური ტაქტიკა;
- კომუნიკაციური უნარ-ჩვევები.

საზოგადოებრივი კომუნიკაციის სფეროში მომუშავე ადამიანს აუცილებლად უნდა გააჩნდეს ეს უნარ-ჩვევები. მას უნდა შეეძლოს :

- კომუნიკაციური სტრატეგიების ეფექტურად შემუშავება;
- კომუნიკაციის სხვადასხვა ტაქტიკური ხერხებით სარგებლობა;
- საკუთარი თავის, როგორც კომუნიკაციური პროცესის მონაწილის ეფექტური წარდგენა; უცხოურ ენაზე საუბარი მოითხოვს ისეთ სტრატეგიებს, როგორიცაა:
- **უხვსიტყვაობა, სადაც** მოსაუბრე აღწერს შესასწავლი საგნების ან მოქმედებების თვისებებს. (ფერი, ზომა, ფორმა, ფუნქცია და ა. შ.)
- **სიტყვასიტყვითი თარგმანი:** ამ სტრატეგიის წარმატება დამოკიდებული უნდა იყოს მოსაუბრის თავდაჯერებულობაზე, რომ მსმენელმა იცის მისი მშობლიური ენა, ან ის რომ, მოსაუბრის მშობლიურ ენასა და ინგლისურ ენას შორის არის მსგავსება სტრუქტურაში.
- **მიმიკურად გამოსახვა**, რომელიც ხშირად გამოიყენებოდა ამ ურთიერთობაში მოსწავლის მიერ.
- **რისკი.**
- **პერეფრაზირება.**
- **თვითმონიტორინგი.**
- **თვითშეფასება.**

უცხოური ენის სწავლების სტრატეგია უნდა ითვალისწინებდეს ყველა იმ ხერხსა და მუშაობის ყველა იმ ფორმას, რაც ისტორიულად სხვადასხვა მეთოდურ მიმართულებებს

მიეწერებოდა, უნდა იყოს მოქნილი, დიფერენცირებული, ითვალისწინებდეს უცხოური ენის სწავლების სხვადასხვა პირობას, იმ გარემოებებს, რომელთაც შეუძლიათ სწავლების შედეგებზე გავლენის მოხდენა. სწავლების სტრატეგია უნდა გამოვლინდეს სწავლების მიზნებში, ამოცანებში, კომუნიკაციურ შინაარსში, სამეტყველო აქტივობის სახეების, ცოდნის, ჩვევებისა და უნარ-ჩვევათა შეფარდებაში, კონტროლის, მოსწავლეთა პიროვნული, ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებაში და სხვა. ამ ვითარებაში უცხოური ენის მასწავლებელს უდიდესი პასუხისმგებლობა ეკისრება; იგი უნდა იცნობდეს სხვადასხვა მეთოდურ ხერხს, მათ დადებით და უარყოფით მხარეებს, უნდა იყენებდეს უცხოური ენის სწავლების მიზნის შესაბამის ტექნოლოგიებს. (გიორგობიანი, ლ. და სხვ. 2004წ.).

კომუნიკაციური სტრატეგიების ორი მთავარი ჯგუფია:

1. **შესასრულებელი სტრატეგიები** - იყოფა გამაერთიანებელ სტრატეგიებად, როგორცაა დახმარების თხოვნა და არაგამაერთიანებელ სტრატეგიებად, სადაც მოსწავლე ცდილობს პრობლემების გადაჭრას სხვისგან დაუხმარებლად. სტრატეგიებს შორის გამოიყოფა:

- **შენაცვლება.** მოსაუბრეები ანაცვლებენ სიტყვებს ერთი-მეორეს, მაგ.: “if” for “weather”.

- **განზოგადება.** უცხოურ ენაზე მოსაუბრეები იყენებენ ზოგად სიტყვებს უფრო მეტად, ვიდრე კონკრეტულს, როგორცაა “animal” for “rabbit”.

- **აღწერა.** მოსაუბრეები ვერ იხსენებენ სიტყვას “kettle” და აღწერენ მას, როგორც “the thing to cook water in”.

- **მაგალითი.** მოსაუბრეებს მოჰყავთ მაგალითი უფრო მეტად, ვიდრე ზოგადი ტერმინი “cars” for “transport”.

- **ახალი სიტყვის შექმნა.** სიტყვის შექმნა, როდესაც არ იცი კონკრეტული საგნის სახელწოდება.

2. **თავის არიდების სტრატეგიები** - დაყოფილია შემდეგ სახეებად :

- **ფორმალურად თავის არიდება** - მოსაუბრე თავს არიდებს დეტალიზაციას.

- **ფუნქციონალური თავის არიდება** - მოსაუბრე თავს არიდებს სხვადასხვა სახის ფუნქციებს.

კომუნიკაციური სტრატეგიები გამოიყენება თვით კომუნიკაციური მიზნის მისაღწევად. (Faerch, C, and Kasper, G. 1983.).

ყველა სტრატეგიების არჩევაში გავლენას ახდენენ:

მოტივაცია. მოტივირებული მოსწავლეები იყენებენ მეტ სტრატეგიებს, ვიდრე ნაკლებად მოტივირებული მოსწავლეები.

სქესი. მდებრობითი სქესის მოსწავლეები უფრო იყენებენ სტრატეგიებს, ვიდრე მამრობითი სქესის მოსწავლეები.

კულტურული წინაპირობა (cultural background). ზეპირი დამახსოვრება და დამახსოვრების სხვა ფორმები უფრო იყო გავრცელებული აზიელებში, ვიდრე სხვა კულტურული წინაპირობის მქონე სტუდენტებთან.

დამოკიდებულება და შეხედულებები. ამას აქვს დიდი ეფექტი სტრატეგიების არჩევაში, უარყოფითი დამოკიდებულებები და შეხედულებები ხშირად იწვევს სუსტ სტრატეგიებს.

დავალების ტიპი. დავალების არსი ეხმარება განსაზღვროს სტრატეგიები.

ასაკი. სხვადასხვა ასაკის მოსწავლეები იყენებენ სხვადასხვა სახის სტრატეგიებს.

სტილი. სწავლის სტილი ხშირად განსაზღვრავს უცხოური ენის სწავლის სტრატეგიების არჩევას. მაგ: ანალიტიკური ტიპის სტუდენტები უპირატესობას ანიჭებენ ისეთ სტრატეგიებს, როგორცაა ანალიზების დაპირისპირება, წესების შესწავლა, და სიტყვების და ფრაზების ანალიზი, სხვა სტუდენტები იყენებენ სტრატეგიებს მნიშვნელობის გასაგებად (გამოცნობა, დამარცვლით კითხვა, წინასწარ თქმა) და საუბრობენ მიუხედავად იმისა, რომ არ იციან ყველა სიტყვა (პერეფრაზირება, შესტიკულაცია).

ენის სასწავლო გარემო და კარიერაზე ორიენტაცია ახდენს ასევე გავლენას სტრატეგიების გამოყენებაზე.

ენის დავალების სირთულე გავლენას ახდენს სტრატეგიულ არჩევანზე ბევრ კვლევაში.

პრაქტიკული, რეალისტური მაჩვენებლები როგორცაა ანკეტები, ინტერვიუები, მოსწავლის დღიურები და საკლასო ოთახებზე დაკვირვება. ესენი არის ასევე სტრატეგიის მთავარი პირობა.

გამოცდილება. მოსწავლემ სტრატეგიის გამოყენებით შეიძლება ვერ მიიღოს მაღალი შედეგი, მაგრამ მიიღებს დიდ გამოცდილებას.

შეწყობა მოსწავლის სწავლების საჭიროების მიხედვით: მასწავლებლების უმრავლესობამ იცის მათი მოსწავლეების მიმდინარე სწავლის სტრატეგიები, მათ უფრო ეფექტურად შეუძლიათ სწავლების შეწყობა მოსწავლეების საჭიროებებთან. მაგ.: ზოგ სტუდენტს შეუძლია მეტი გამოცდილება მიიღოს ვიზუალურად ნანახი მასალიდან, ვიდრე აუდიო მასალიდან. ასეთი ცოდნა ეხმარება მასწავლებელს

სისტემატურად შეუდგეს სტრატეგიის სწავლებას და გააუმჯობესოს ენის სწავლება. (Oxford, R.L. 1990).

ენის დაუფლების სტრატეგიებია:

კოგნიტური სტრატეგია - ეხმარება მოსწავლეს შექმნას და გაზარდოს ასოციაციები ახალ და უკვე ნაცნობ ინფორმაციას შორის. კოგნიტური სტრატეგიის მაგალითებია: კონტექსტის გაგება, ანალიზი, დასაბუთება ინდუქციურად და დედუქციურად, სისტემატური შენიშვნები და ინფორმაციის რეორგანიზაცია. კოგნიტურ სტრატეგიებში შედის სპეციფიკური სადი გზების სწავლების სიმტკიცე, ასევე წყაროები გამოიყენება სწავლების განსამტკიცებლად, როგორცაა ლექსიკონების გამოყენება, ახალი ინფორმაციის დაკავშირება ძველთან. მასწავლებელს შეუძლია დაეხმაროს მოსწავლეებს კოგნიტური სწავლების სტრატეგიების განვითარებაში, როგორცაა ანალიზი, სინთეზირება და დასაბუთება.

მეტაკოგნიტური სტრატეგიები - ეხმარება მოსწავლეებს თავი გაართვან:

- 1) როგორც მოსწავლეებმა;
- 2) საერთო სასწავლო პროცესებში;
- 3) სპეციფიკურ სასწავლო დავალებებში.

მეტაკოგნიტური სტრატეგიების ერთი ჯგუფი ეხმარება ინდივიდებს შეიცნონ საკუთარი თავი უკეთ, როგორც ენის შემსწავლელნი. სწავლის სტილი არის ფართო მიდგომა, რომელიც თითოეულ მოსწავლეს შეაქვს უცხოური ენის სწავლაში ან ნებისმიერი პრობლემის გადაწყვეტაში. სწავლის სტილის მაგალითებში შედის ვიზუალური, აუდიტორული, კინესთეტიკური, გლობალური, ანალიტიკური, ინტუიტურ-რაციონალური. სწავლის სტილის ცოდნა ეხმარება მოსწავლეებს სტრატეგიების არჩევაში, რომელიც ერგება მათი სწავლის სტილს. მეტაკოგნიტური სტრატეგიების სხვა მიმართულება დაკავშირებულია სასწავლო პროცესის მართვასთან ზოგადად და შეიცავს ინდივიდუალობასთან არსებულ წყაროებს, წყვეტს თუ რომელი წყაროები არის ფასეული მოცემული დავალებისთვის, სასწავლო გეგმის სიას, კარგი სასწავლო ადგილის პოვნას, შექმნას და ა. შ. ეს მიმართულება ასევე შეიცავს საზოგადო მიზნების არსებობას ენის სწავლისთვის. უცხოური ენის სწავლა შეიძლება შეფერხდეს თუ მიზნები არა მკაფიოა ან სავარაუდო. სხვა მეტაკოგნიტური სტრატეგიები აგრეთვე ეხმარება მოსწავლეებს მოცემული ენის დავალებების განხილვაში, და არა საერთოდ ენის შესწავლის პროცესში. მეტაკოგნიტური სტრატეგიების ეს მიმართულება შეიცავს სხვა ტექნიკას, წყვეტს დავალების-კავშირის მიზნებს ენის შესწავლასთან, ყურადღებას აქცევს

დავალებას, იქვე გეგმავს საფეხურებს ენის დავალებებში, მიმოიხილავს შესაბამის სიტყვათა მარაგს და გრამატიკას, პოულობს დავალებებს შესაბამის თემებზე და წყაროებზე, წყვეტს, თუ რომელი სხვა სტრატეგიები შეიძლება იყოს ხელსაყრელი და იყენებს მათ, ირჩევს ალტერნატიულ სტრატეგიებს, აწესრიგებს ენობრივ შეცდომებს დავალების განმავლობაში. მეტაკოგნიტურ სტრატეგიებში შედის დაგეგმვა და სწავლის მიმართულების საერთო დონე, ფიქრი სწავლის ირგვლივ, მეტყველების ან წერის მონიტორინგი და შეფასება თუ რამდენად კარგად ასრულებს მოსწავლე მოცემულ დავალებას.

კომპენსატორული, გასაუმჯობესებელი სტრატეგიები ეხმარება მოსწავლეებს იმ ცოდნის შევსებაში, რაც მათ არ იციან. გასაუმჯობესებელ სტრატეგიებში შედის სინონიმები, უხვსიტყვაობა და ქესტიკულაცია.

სოციალური სტრატეგიები აადვილებს სწავლას და ეხმარება მოსწავლეებს გაიგონ იმ უცხოური ენის კულტურა, რომელსაც ისინი სწავლობენ. სოციალური სტრატეგიების მაგალითებია: კითხვების დასმა უფრო მეტი გარკვეულობისთვის ან კონკრეტული ფაქტის დასამტკიცებლად, ასევე დახმარება სთხოვო მეგობარს და სწავლა კლასის გარეთ. სოციალური სტრატეგიები არის გადამწყვეტი უცხოური ენის შესწავლაში. სოციალურ სტრატეგიებში შედის ურთიერთობა ხალხთან. აქ სწავლის სტრატეგია მოწმობს იმ ცვლილებებს, რომლებსაც მოსწავლე ახორციელებს უცხოური ენის სწავლების პროცესში. სოციალური სტრატეგიები გულისხმობს სწავლას ურთიერთობით, როგორცაა მეგობრებთან ერთად მუშაობა, ან დახმარება სთხოვო მასწავლებელს. (Carter, R., and Nunan, D. 2001.). ყველაზე მნიშვნელოვანია შემსწავლელმა არ დაკარგოს ინტერესი სწავლისადმი. საკომუნიკაციო სტრატეგიები ერთ-ერთი ეფექტური საშუალებაა იმისათვის, რომ არ შეწყდეს საუბარი უცხო ენაზე და შესაძლებელი გახდეს აზრის ბოლომდე მიყვანა. უცხო ენის შემსწავლელი საკომუნიკაციო სტრატეგიებს იყენებს მაშინ, როცა მას უცხო ენაზე საუბრის პრობლემა აქვს. მათ გამოყენებაზე ზეგავლენას ახდენს შემსწავლელის უცხო ენის დონე, პრობლემის ტიპი, როგორი პიროვნული თვისებები გააჩნია შემსწავლელს და როგორია სასწავლო გარემო ან სიტუაცია. (Hatch, E .1978a).

1.3 კომუნიკაციის სწავლების დროს გასათვალისწინებელი ძირითადი პრინციპები

განვითარებული კომუნიკაცია სამეტყველო აქტივობას გულისხმობს. იგი ორი ფორმით ხორციელდება - ზეპირი და წერიტი. ზეპირი ფორმის ენობრივი ურთიერთობა გულისხმობს ორ აქტივობას - ლაპარაკსა და მოსმენას. კომუნიკაცია შეიცავს ორ კომპონენტს: თქმასა და გაგებას. კომუნიკაცია რომ შედგეს, ინდივიდი უნდა ფლობდეს გარკვეულ ენობრივ მასალას, რომელიც საჭიროა კომუნიკაციის აქტის განხორციელებისთვის. ასეთი მასალა კი წარმოდგენილია ფონემების, ინტონაციური მოდელების, ლექსიკის და გრამატიკული სტრუქტურების სახით. აღქმა-გაგება გულისხმობს სოციალურად ფასეული ბგერითი ერთეულების გარკვეული კომბინაციით შედგენილ ენობრივ ნიშნებს, რომელთაც თანაბარი სოციალური ღირებულება აქვთ მთქმელისა და მსმენელისთვის. ასე რომ, ენა ხორციელდება მეტყველებაში და მეტყველების საშუალებით. (Биболетова, М. 1985.).

მასწავლებლის ხმა საკლასო კომუნიკაციის მნიშვნელოვანი საშუალებაა. სასურველი ეფექტის მისაღწევად, შეგვიძლია შევცვალოთ ხმის დონე, ბგერის სიმაღლე, ტონი, მკაფიოობა და გამომხატველობა, რათა ხმა უფრო ეფექტურად გამოვიყენოთ და ყურადღება გავამახვილოთ იმაზე, რასაც ვამბობთ. მეტყველება არა მხოლოდ შინაარსის გადაცემის, არამედ მოსწავლესთან ურთიერთობის საშუალებაა. მოსწავლეთა სახელების გამოყენება, მათი კლასგარეშე ცხოვრებით დაინტერესება, მათი გამოცდილების დაფასება ქმნის კომუნიკაციისთვის დადებით ატმოსფეროს. ხმის რეგულაცია და პროექცია ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია კომუნიკაციაში. იმისათვის, რომ მოსწავლეებს განუვითარდეთ მეტყველების უნარი, აუცილებელია, რომ მათ კარგად ესმოდეთ მასწავლებლის საუბარი. მოსწავლეებს უნდა ველაპარაკოთ მათთვის გასაგებ ენაზე. საუბრის დროს მეტად მნიშვნელოვანია პაუზა. მასწავლებელს შეუძლია ის ძალზედ ეფექტიანად გამოიყენოს რომელიმე საკითხის მნიშვნელობაზე ხაზგასასმელად. ასევე აუცილებელია მოთმინება, სანამ მოსწავლე პასუხს გასცემს მასწავლებლის მიერ დასმულ შეკითხვას. მასწავლებელმა გაკვეთილის დასაწყისშივე ისეთ ხერხს უნდა მიმართოს, რომ მიიპყროს მოსწავლეთა ყურადღება. შესაძლოა, მასწავლებელს ამისათვის რამე წესი ჰქონდეს შემოღებული. მაგ: „ ვითვლი სამამდე. როდესაც ვიტყვი სამს, ყველა მოსწავლე მზად იქნება გაკვეთილისთვის.“ (სწავლება და შეფასება. 2012წ.).

მნიშვნელოვანია ის, რომ ვისაუბროთ რაც შეიძლება ნელა, ხმის დაბალი ტემპით, გამოვიყენოთ მოკლე წინადადებები, გავზარდოთ პაუზათა რაოდენობა და სიხშირე, რათა მეტყველება გახდეს მოსწავლისათვის ბუნებრივი; უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვი დიდი ემოციურობით ხასიათდება. მეგობრული ატმოსფერო, მოსწავლეთა კარგი ურთიერთდამოკიდებულება, მათი კონტაქტი მასწავლებელთან უცხოურ ენაზე კომუნიკაციის წარმართვის საწინდარია. ამ ასაკში კარგადაა განვითარებული იმიტირების უნარი, ამიტომ თუ ბავშვს კარგ მაგალითს მივცემთ, მოსწავლე ადვილად განვითარებს კარგ წარმოთქმით და სმენით უნარ-ჩვევებს და იგი მიბაძავს მთქმელის წარმოთქმას; საჭიროა მოსწავლე ვუზრუნველყოთ სხვადასხვა ტიპის სავარჯიშოებით, როგორებიცაა: დიალოგები, ინტერვიუები, მოთხრობები, ინგლისური სიმღერები და ა.შ. (ნოზაძე.ა. 2008წ).

ამრიგად, ეფექტური კომუნიკაციისათვის მნიშვნელოვანია კომუნიკაციის კონტექსტი, რაც გულისხმობს კომუნიკაციის გარემოს და კომუნიკაციის ფორმებს. ამავე კონტექსტში შედის კულტურა და სოციალური ნორმები. გარკვეული დონის საერთო ლინგვოკულტუროლოგიური სივრცე აუცილებელი პირობაა კომუნიკაციისათვის. კომუნიკაცია ნიშნავს ადამიანების ერთობლივ ქმედებას, როდესაც ისინი ერთმანეთს ელპარაკებიან და უსმენენ. კომუნიკაცია არის მთქმელისა და მსმენელის ერთობლივი პროდუქტი. კომუნიკაცია გარკვეული შინაარსის ირგვლივ იგება, მაგრამ ამ შინაარსის გაგება-გაზიარებაში ორივე მხარე უნდა იყოს ჩართული.

კომუნიკაცია რთული მოვლენაა, რომელიც მოიცავს ინფორმაციის გადაცემას, მის მიღებასა და მიღებულ ინფორმაციაზე რეაგირების ეტაპებს. კომუნიკაციის მიზნები ყველა ადამიანისთვის სხვადასხვაა. ზოგისთვის ინფორმაციის, ზოგისთვის - განათლების მისაღები წყარო. უცხო ენის სწავლების პროცესში სამეტყველო უნარებს შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს უცხო ენაზე მეტყველების უნარის განვითარებას, რაც სამიზნე ენის აქტიური გამოყენების გზით მიიღწევა. ამისათვის მრავალი სტრატეგია არსებობს, რომლებსაც შეუძლიათ ბავშვების განვითარება კომუნიკაციის პროცესში და ისინი შეირჩევა მათი გამოცდილებებისა და შესაძლებლობების მიხედვით. აღნიშნული შედეგის მიღწევა შეგვიძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გაკვეთილზე მოსწავლეებს შევუქმნით უცხოენოვან გარემოს. საკლასო საგაკვეთილო აქტივობების დაგეგმვა/განხორციელების დროს ინსტრუქციის მიცემისას ყოველთვის უნდა გამოიყენოს მასწავლებელმა სამიზნე ენა, ბავშვებისათვის მარტივად, გასაგები ლექსიკური ერთეულებით და სხვადასხვა დამხმარე რესურსით. ეფექტიანი კომუნიკაციის უნარ-ჩვევა

მასწავლებელს უადვილებს მოსწავლეებთან ურთიერთობას, სწავლებისა და სწავლის პროცესს უკეთ წარმართვას და მოსწავლეების ჩართვას სასწავლო პროცესში. თუ კომუნიკაცია გაკვეთილისთვის დამახასიათებელ სიტუაციაში მიმდინარეობს, მაშინ ეს ნიშნავს, რომ მასწავლებელი და მოსწავლეები ერთობლივად ასრულებენ გარკვეულ ქმედებას – კომუნიკაციის აქტს – იმდენად, რამდენადაც მსმენელი და მთქმელი როლების მონაცვლეობით ერთობლივად ცდილობენ აზრი შესძინონ გაკვეთილს. მოსწავლეებს და მასწავლებელს აქვთ საერთო მიზანი, და ამიტომაც თანამშრომლობენ ამ მიზნის მისაღწევად, რაც ერთმანეთთან კომუნიცირებას გულისხმობს. მასწავლებლის მიზანი უნდა იყოს მოსწავლეებისთვის გაკვეთილის მსვლელობაში თანამონაწილეობის უფლების მიცემა. ასეთი მიდგომა ძალიან მნიშვნელოვანია უცხო ენის გაკვეთილის წარმართვისას.

თავი 2. მოტივაცია კომუნიკაციის სწავლებისას

2.1. მოტივაცია ინგლისური ენის სწავლების პროცესში

მოტივაცია მოსწავლის ცნობისმოყვარეობისათვის აუცილებელი პირობაა და ხელს უწყობს განათლების, ცოდნის მიმართ პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბებას. მოტივაცია არის ორგანიზმის შინაგანი მდგომარეობა, რომელიც გულისხმობს ენერჯის მიმართვას გარკვეული (ადამიანისთვის სასურველი) მიმართულებით. პედაგოგიკაში და პედაგოგიურ ფსიქოლოგიაში ტერმინს „მოტივაცია“ იყენებენ მოსწავლის სწავლის პროცესში ჩართულობის, მისი სწავლის მიმართ ინტერესისა და დადებითი განწყობის აღნიშვნისთვის. (ეფექტიანი სწავლება-თეორია და პრაქტიკა. 2010წ.).

მოსწავლეების უმეტესობა ინგლისური ენის შესწავლას ინტერესით იწყებს. მოსწავლეებს მოტივაციის მაღალი დონე გააჩნიათ: სურთ გაიგონ საუბარი და ისაუბრონ შესასწავლ ენაზე. დაწყებითი სკოლის მოსწავლეებს ჯერ არა აქვთ შეცდომის დაშვების შიში, არ აწუხებთ გამონათქვამის პრიმიტიულობა, რადგან ასეთი აქტივობა მათთვის ახლის ხიბლით ხასიათდება. მასწავლებლის ამოცანაა, ამ ბუნებრივი ცნობისმოყვარეობის გამოყენება, მისი შენარჩუნება-განვითარებისათვის ხელის შეწყობა. განსაკუთრებით ეხალისებათ ბავშვებს შესასწავლ ენაზე სიმღერების შესრულება, ლექსის ზეპირად წარმოთქმა, თამაში. დაწყებითი სკოლის მოსწავლეებს კარგი მეხსიერება აქვთ. იმიტაციის უნარი საშუალებას აძლევს, ადვილად დაეუფლონ სასწავლო მასალას, თუ იგი მათთვის საინტერესო და გონებრივად მისაწვდომი იქნება (ნოზაძე, ა. 2008წ.).

უცხოური ენის დაუფლების ეფექტიანობის არალინგვისტური ფაქტორებია: მოტივაცია, უნარი და ინდივიდუალობის ძირითადი მიდგომები უცხოური ენის ათვისებაში. მოტივაცია შეიძლება მთავარი იყოს ენის ფლობისთვის, მაგრამ ენის ფლობაც ეხმარება მოსწავლეს მოტივაციის გაზრდაში. ეს ფაქტორები განამტკიცებენ ერთიმეორეს. ისინი სამ მთავარ კატეგორიადაა დაყოფილი: სწავლის მოტივაცია, სწავლის შესაძლებლობები და სწავლის უნარი. თუ მოსწავლეს აქვს კარგი მოტივაცია ისწავლოს ენა, სხვა მნიშვნელოვანი გავლენაც არის საყურადღებო, ეს არის გამოცდილება, რომელიც მოსწავლეს სჭირდება ეფექტური სწავლისთვის. უცხოური ენის უნარი და მოტივაცია არის ფაქტორები, რომლებიც წარმატების მომტანია. აუცილებელია მათი ურთიერთქმედება. (Littlewood, W. T. 1984.).

2.2 მოსწავლის მოტივაცია, მათი ჩართულობა და მიღწევები

მოტივაცია არის იმპულსი, სურვილი, შინაგანი პროცესი, რომელიც ადამიანს ქმედებებისკენ უბიძგებს და ამ ქმედებებს გარკვეული მიზნის მიღწევისკენ მიმართავს. მაგ: მოსწავლე, რომელიც ბევრს მეცადინეობს, კეთილსინდისიერად ეკიდება სასწავლო პროცესს, ორიენტირებულია კარგი ნიშნების მიღებაზე, შეიძლება დავახასიათოთ როგორც მაღალმოტივირებული. მოტივაცია განაპირობებს მოსწავლის შესაძლებლობებისა და უნარების რეალიზებას. მოსწავლის მოტივაციას განსაზღვრავს მისი გარემო. ეს შეიძლება იყოს მშობლები, თანატოლები, მიმზიდველი სასწავლო გარემო, მასწავლებლის როლი კი ყველაზე მნიშვნელოვანია. მოტივაციის ამაღლებაზე სისტემატური მუშაობა დიდწილად განაპირობებს მოსწავლეთა მაღალ აკადემიურ მოსწრებას და სასწავლო პროცესის სასიამოვნოდ და სახალისოდ წარმართვას. (სწავლება და შეფასება. 2012წ.). მოტივაციის არ არსებობისას არაფერი ხდება. მოტივაცია ეხმარება მეტაკოგნიტური უნარ-ჩვევების განვითარებას, რომელიც გავლენას ახდენს სწავლისა და აზროვნების უნარ-ჩვევების განვითარებაზე. (Dennis G. Wiseman; Gilbert H.Hunt; 2014) .

მოტივაცია არის „კონსტრუქტი“, რითაც ადამიანი ამა თუ იმ საგანს ან ქმედებას უპირატესობებს ანიჭებს. ხშირად რამდენიმე, ურთიერთგამომრიცხავი მოტივი არის ხოლმე რაიმე ქცევის წარმართვის მიზეზი. ზოგადად, მოტივაციაში სამი კომპონენტის გამოყოფა შეიძლება:

1. მიზანზე მიმართულობა, რომელიც შეიძლება პოზიტიური ან ნეგატიური იყოს;
2. ამ მიზნის მიღწევის სურვილი;
3. მოსწავლის მზადყოფნა სიძნელეების თავისთავზე აღებისა იმისთვის, რომ მიზანს მიაღწიოს. (Gardner, R. C. 2003b.)

არსებობს მოტივაციის ორი კლასი: შინაგანი და გარეგანი მოტივაცია. შინაგანი მოტივაცია არის კონკრეტული ქმედებისკენ სწრაფვა, რომელიც შიგნიდან არის გამოწვეული ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილების თუ რაღაცის აღმოჩენის სურვილით. მასწავლებელი მოსწავლეს უღვიძებს ცნობისმოყვარეობას და მათ აზროვნების, ფიქრისა და აღმოჩენისკენ

უბიძგებს. აქ განმსაზღვრელია ის შინაგანი ინტერესი, რომელიც მოსწავლეს სიამოვნებას ანიჭებს. ეს სიამოვნება მის ქმედებებს დასახული მიზნისაკენ მიმართავს. (სწავლება და შეფასება. 2012წ).

გარეგანი მოტივაცია არის კონკრეტული ქმედებისკენ სწრაფვა, რომელიც გამოწვეულია გარე ფაქტორებით, გარკვეული ჯილდოს ან აღიარების მოპოვების სურვილით. (სწავლება და შეფასება. 2012წ). აქ მასწავლებელი გარე ფაქტორის შემოტანით ცდილობს მოსწავლეებში გაამძაფროს მიზნის მიღწევის სურვილი და მათი მოქმედებებიც აქეთ მიმართოს. გარეგანი ფაქტორებია: სხვა პირის (მასწავლებელი, მშობელი...) მიერ შექება, წახალისება/დაჯილდოვება, ან სასჯელის, არასასურველი შედეგების თავიდან აცილების მიზნით განხორციელებული ქცევა და ა.შ. (ეფექტიანი სწავლება-თეორია და პრაქტიკა. 2010წ.).

მიუხედავად იმისა, რომ მოსწავლეებში შინაგანი მოტივაცია აკადემიურ შედეგებზე განსაკუთრებით დადებით გავლენას ახდენს, აუცილებელია, მასწავლებელი იყენებდეს გარეგანი მოტივაციის სტრატეგიებსაც. შინაგანი და გარეგანი მოტივაციის ამალებისათვის მასწავლებლები სხვადასხვა სტრატეგიას მიმართავენ:

შინაგანი მოტივაცია	გარეგანი მოტივაცია
<ul style="list-style-type: none"> • დავალების მოსწავლეთა ინტერესების მიხედვით შერჩევა. • გარკვეულ შემთხვევებში მათთვის არჩევანის უფლების მინიჭება. • საკუთარი აზრის, თუნდაც საწინააღმდეგო მოსაზრების, თამამად გამოხატვის შესაძლებლობა. • თამაშის ტიპის სახალისო აქტივობების ჩართვა სასწავლო პროცესში. 	<ul style="list-style-type: none"> • გარკვეული ჯილდოს, საჩუქრის შეთავაზება კარგი ან გაუმჯობესებული შედეგებისათვის (მაგ., ყველაზე მაღალი ნიშანი ან კონკრეტული ტესტიდან გათავისუფლება და ა.შ). • წერილობითი ან სიტყვიერი შექება, რომელიც არ არის ზოგადი (მაგ., არა უბრალოდ „კარგი გოგო ხარ“), არამედ უფრო კონკრეტული („ყოჩაღ შენ ეს პერსონაჟი ზუსტად დააკავშირე მის რეალურ პროტოტიპთან).

	<ul style="list-style-type: none"> • შეჯიბრის მოწყობა (კლასში, პარალელურ ჯგუფში ან სხვა სკოლების მოსწავლეებთან).
--	---

მოტივაციის ამაღლების ძირითადი საშუალებებია:

პიროვნული ურთიერთობები	სასწავლო ატმოსფერო	მასწავლებლის მოთხოვნები
-------------------------------	---------------------------	--------------------------------

მასწავლებელი მოვალეა, კარგი პიროვნული ურთიერთობები დაამყაროს მოსწავლეებთან და აგრძნობინოს მათ თავი ღირსეულ, პატივსაცემ ადამიანებად და შექმნას დაცული, კომფორტული ჯანსაღი გარემო, სადაც სწავლა სასიამოვნო პროცესად იქცევა. ასეთ შემთხვევაში მოსწავლეებს შორის მოტივაციის ხარისხი მკვეთრად მატულობს. პედაგოგს დიდ დახმარებას გაუწევს მოსწავლეებთან კარგი პიროვნული ურთიერთობის დამყარებაში: სამართლიანობა, გარეგნობა, იუმორი, თავაზიანობა, სიხალისე, ურთიერთობის აღდგენა, აქტიური მოსმენა. (სწავლება და შეფასება. 2012წ).

სასწავლო გარემოს უდიდესი გავლენა აქვს მოსწავლეთა მოტივაციაზე. სასწავლო გარემოს კომპონენტებია - სასწავლო აქტივობები, მოსწავლეთა შეფასება / წახალისება და კონტროლის პასუხისმგებლობის განაწილება. ეს ის კომპონენტებია, რომლებსაც განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს მოსწავლეთა მოტივაციისთვის. სასწავლო აქტივობებში იგულისხმება მოსწავლეთა ცოდნის ამაღლებაზე ორიენტირებულ აქტივობათა ერთობლიობა. თუ მოსწავლე აქტივობას რთულად, მისთვის დაუძლეველად მიიჩნევს და ან თუ მარტივია და უინტერესო, შეიძლება მან დაკარგოს რწმენა საკუთარ შესაძლებლობებში და გულგრილი გახდეს სწავლის მიმართ. მასწავლებლის მიერ გამოყენებულ შეფასების პოლიტიკას დიდი მნიშვნელობა აქვს მოსწავლეთა მოტივაციისთვის, რაშიც იგულისხმება შეფასების სტანდარტები, კრიტერიუმები, შეფასების კონკრეტული მეთოდები და მათი გამოყენების სიხშირე. მნიშვნელოვანია, რომ გვახსოვდეს შეფასების ეფექტურობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სამართლიანად და

ობიექტურად მიაჩნიათ მათ არსებული პოლიტიკა. მოსწავლეებში მოტივაციის გაღვივებისათვის მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა გაამახვილოს ყურადღება მოსწავლეთა პროგრესზე, სისტემატურად მიაწოდოს მათ დადებითი უკუკავშირი. ასევე საკლასო ოთახში უფლებამოსილებებისა და პასუხისმგებლობების განაწილებას დიდი მნიშვნელობა აქვს მოსწავლეთა მოტივაციისთვის. აუცილებელია მოსწავლეთა ჩართულობა საკლასო გადაწყვეტილებების მიღებასა და საკუთარი სასწავლო პროცესის მართვა/დაგეგმვაში. მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა შექმნას ისეთი სასწავლო გარემო, რომელშიც მოსწავლეები ნაწილობრივ მაინც იქნებიან პასუხისმგებელი საკუთარ განათლებასა და განვითარებაზე. გარემო, სადაც ისინი თავს მასწავლებლის პარტნიორებად, სასკოლო საზოგადოების სრულუფლებიან წევრებად გრძნობენ, ხელს უწყობს მოსწავლის მოტივაციის ზრდასა და სასწავლო პროცესში ჩართულობას. (ეფექტიანი სწავლება - თეორია და პრაქტიკა, 2010წ.).

2.3. ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების მნიშვნელობა სასწავლო პროცესში

ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ისტ) გარეშე დღეს წარმოუდგენელია პროგრესი სახელმწიფო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ნებისმიერ სფეროში. გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების აქტიურმა გამოყენებამ სასწავლო პროცესში არა მხოლოდ ტექნიკური უნარ-ჩვევები შესძინოს მოსწავლეს, არამედ შექმნას ხელსაყრელი პირობები ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი, თავისუფალი პიროვნების ჩამოსაყალიბებლად. სასწავლო პროცესში ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებას რამდენიმე მნიშვნელოვანი მხარე აქვს, კერძოდ:

- ხელს უწყობს საგანთა შორის კავშირების წარმოჩენას;
- ხელს უწყობს შემოქმედებითობისა და ინოვაციური მიდგომების განვითარებას, რაც ძალზე მნიშვნელოვანია პრობლემებზე დაფუძნებული კონსტრუქტივისტული საკლასო გარემოს შესაქმნელად;

➤ ისტ-ის გამოყენებით შესაძლებელია ისეთი თვალსაჩინოებების შექმნა და გამოყენება, რომლებიც საჭიროა ახალი ცნების, ობიექტისა და პროცედურის შემოტანისას. ამის მაგალითებია:

- არითმეტიკული მოქმედებები რიცხვებზე, როდესაც ამ მოქმედებების რეალიზაცია, ძირითადად, ხდება საგნობრივი თვალსაჩინოებების გამოყენებით (დაწყებით საფეხურზე);
- ახალი სიტყვებისა და ფრაზების შესწავლა მშობლიურ თუ უცხოურ ენებში, როდესაც უცნობ სიტყვებსა და ფრაზებს მოსწავლეები უკავშირებენ შესაბამის გრაფიკულ გამოსახულებას;
- ისეთი ბუნებრივი მოვლენების სიმულაცია, რომლებზე დაკვირვებაც შეუძლებელია ან ძალზე რთულია რეალურ ვითარებაში.

➤ ისტ-ის გამოყენებამ შესაძლოა უფრო ეფექტურად და ინტენსიურად შეუწყოს ხელი ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული უნარ-ჩვევების განვითარებას. ასეთებია, მაგალითად:

- ვიზუალური თუ რაოდენობრივი კანონზომიერებების აღმოჩენის უნარი (კანონზომიერება საგანთა მიმდევრობაში, კანონზომიერება გრაფიკულ გამოსახულებაში, რაოდენობრივი ცვლილების კანონზომიერება);
 - ობიექტთა ზომების დადგენისა და შეფასების უნარი;
 - ინფორმაციის გააზრებისა და ერთი ფორმატიდან მეორეში გადაყვანის უნარი (მაგალითად: ტექსტური მასალისათვის გრაფიკული გამოსახულების შერჩევა და პირიქით; სიტყვიერად აღწერილი რაოდენობრივი ინფორმაციის გამოსახვა და პირიქით);
 - სივრცული წარმოდგენის უნარი;
 - თანამშრომლობითი უნარ-ჩვევები;
 - სამუშაო სივრცის მომზადებისა და საჭირო საშუალებების შერჩევის უნარი.
- ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სწავლების ძირითადი მიზანია

ინფორმირებული, ტექნოლოგიური მიღწევების ეფექტიანად გამოყენების უნარის მქონე, ეთიკური და კანონმორჩილი პიროვნების აღზრდა, რომელიც შეძლებს ინფორმაციის დამოუკიდებლად მოპოვებას, მართვას, დამუშავებას, შეფასებას, ანალიზს და მასზე დაყრდნობით გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღებას.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დასრულების შემდეგ მოსწავლეს უნდა ჰქონდეს საბაზისო ცოდნა ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შესახებ, ასევე მათი მოხმარების

პრაქტიკული გამოცდილება, რომელიც საკმარისი იქნება როგორც მომავალი პროფესიული საქმიანობისათვის, ასევე შემდეგ საფეხურზე სწავლის გასაგრძელებლად.

სკოლის დასრულების შემდეგ მოსწავლე უნდა ფლობდეს ისტ-თან დაკავშირებულ ცნებებსა და შესაბამის ოპერაციებს:

1. მოსწავლეს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს ისტ-ით სარგებლობის სოციალური, ეთიკური, გარემოს დაცვასთან და ადამიანურ ფაქტორთან დაკავშირებული პრობლემები;
2. მოსწავლეს უნდა შეემლოს ისტ-ის ეფექტიანი გამოყენება მათ შორის საყოფაცხოვრებო და რეალური ვითარების დროს წარმოქმნილი პრობლემების გადაჭრისას;
3. მოსწავლე უნდა ფლობდეს კვლევის ციფრულ საშუალებებს (იგულისხმება ინფორმაციის სხვადასხვა წყაროდან მოძიება, შენახვა, დამუშავება, ანალიზი და ანალიზის საფუძველზე დასკვნების ჩამოყალიბება);
4. მოსწავლე უნდა ფლობდეს ციფრული პროდუქტის შესაქმნელ საშუალებებს;
5. მოსწავლე უნდა ფლობდეს კომუნიკაციისა და თანამშრომლობის ციფრულ საშუალებებს. (ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები. 2011წ.).

ამრიგად, მოტივაცია არის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი უცხოურ ენაში წარმატების მისაღწევად. ის ორგანიზმის შინაგანი მდგომარეობაა, რომელიც მიმართავს ქცევას, ყურადღებას, ადამიანისთვის სასურველი მიმართულებით. ზოგადად, მოტივაცია დღეს „წარმატებული სწავლის გასაღებად“ მიიჩნევა. მაღალი მოტივაცია არის ერთადერთი ფაქტორი, რომელიც იწვევს წარმატებულ სწავლას, წარმატებულმა სწავლამ შეიძლება ასევე გამოიწვიოს მაღალი მოტივაცია. მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლების სტრატეგიებია:

- სასწავლო პროცესის გამდიდრება;
- მოსწავლეთა გააქტიურება;
- მოსწავლეების ჩართვა ცოდნის შეფასების ინსტრუმენტების მომზადებაში;
- განსხვავებული სირთულის დავალებების/აქტივობების გამოყენება;
- „უნიშნო“ აქტივობების გამოყენება, თავის არიდება მხოლოდ ნიშნის წერაზე;
- დამახსოვრება, რომ შეცდომები სწავლის საუკეთესო საშუალებაა;
- მოსწავლეებისათვის დადებითი უკუკავშირის მიწოდება;
- არასოდეს გააკრიტიკო მოსწავლე საჯაროდ;
- იყავი მიუკერძოებელი;

- სათანადო დროისა და ყურადღების დათმობა მოსწავლეთა ნაშრომებისათვის;
- მოსწავლეების ჩართვა საკლასო გადაწყვეტილებების მიღებაში;
- ინდივიდუალური მიდგომა თითოეულ მოსწავლესთან;

მოსწავლეების მოტივაციის ზრდას ხელს უწყობს შემდეგი ფაქტორები:

1. მასწავლებლის ენთუზიაზმი;
2. შესაბამისი მასალა;
3. მაღალ დონეზე ორგანიზებული სასწავლო კურსი;
4. საშუალო სირთულის მასალა;
5. მოსწავლეების აქტიური ჩარევა სასწავლო პროცესში;
6. ურთიერთნდობის ფაქტორი მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის;
7. მრავალფეროვნება;
8. ცოცხალი, კონკრეტული და ადვილად გასაგები მაგალითების მოყვანა.

სასწავლო პროცესში ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სწავლების ძირითადი მიზანია ინფორმირებული, ტექნოლოგიური მიღწევების ეფექტიანად გამოყენების უნარის მქონე, ეთიკური და კანონმორჩილი პიროვნების აღზრდა, რომელიც შეძლებს ინფორმაციის დამოუკიდებლად მოპოვებას, მართვას, დამუშავებას, შეფასებას, ანალიზს და მასზე დაყრდნობით გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღებას. ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება ხელს უწყობს საგანთა შორის კავშირების წარმოჩენას, შემოქმედებითობისა და ინოვაციური მიდგომების განვითარებას.

თავი 3. ალტერნატიული მეთოდები და მიდგომები კომუნიკაციის სწავლებისას

3.1. აუდიო-ლინგვური მეთოდი

კომუნიკაცია მეტად მნიშვნელოვანი პროცესია, ამიტომ მოსწავლეების დასახმარებლად, რომ მათ შეძლონ კომუნიკაციის დამყარება, პედაგოგები არაერთ მეთოდს იყენებენ, სასწავლო გარემოში ჩამოყალიბდა სწავლების სხვადასხვა მეთოდი, რაც სწავლების უფრო მეტად ეფექტური და ქმედითი გზების შერჩევის საშუალებას იძლევა. გამოცდილებამ აჩვენა, რომ არც ერთი მეთოდი არ შეიძლება იყოს აბსოლუტურად იგნორირებული. ეს დამოკიდებულია შესასწავლი მასალის შინაარსზე, მათ ასაკსა და პიროვნულ თავისებურებებზე. (Richards, J. and Rodgers, T. 1986).

„მეთოდი“ არის „ენის მასალების მიწოდების საერთო გეგმა, რომლის ცალკეული ელემენტები ერთმანეთთან წინააღმდეგობაში არ არიან და ყველა ერთად დაფუძნებულია გარკვეულ მიდგომაზე“. (Antony, E. 1963). მეთოდის, ან მეთოდების შერჩევა და გამოყენება სასურველია ემყარებოდეს სასწავლო პროცესს და მორგებული იყოს კონკრეტულ სიტუაციაზე. (Nunan, D. 2004).

სახელწოდება აუდიო-ლინგვური შედგება ორი ლათინური სიტყვისგან: *audire*, რაც ნიშნავს მოსმენას და *lingua*, რაც ნიშნავს მეტყველებას/ენას. აქედან გამომდინარე, აუდიო-ლინგვურ მეთოდს მოსმენა-ლაპარაკის მეთოდსაც უწოდებენ. (შავერდაშვილი.ე. 2014წ.). ეს მეთოდი ჩნდება 1950-იან წლებში. მისი შემქმნელები არიან ლინგვისტ-სტრუქტურალისტი ჩ.ფრიზი და მეთოდის-ტი რ.ლადაო. ისინი თვლიან, რომ სწავლების საფუძველი ზეპირი მეტყველებაა. უცხოური ენის სწავლების დაწყებით საფეხურზე უარს ამბობენ კითხვის სწავლებაზე (გარდა კითხვის ტექნიკისა), იმ მოტივით, რომ კითხვის დაუფლება შესაძლებელია მხოლოდ ზეპირი მეტყველების სწავლის შემდეგ. კითხვის სწავლებისთვის განკუთვნილი დრო მთლიანად დაეთმობა ზეპირმეტყველებას და სამეტყველო უნარ-ჩვევებიც უფრო მტკიცე იქნება. (გიორგობიანი, ლ. და სხვ. 2004წ.).

აუდიო-ლინგვუალური მეთოდის სწავლა/სწავლების ძირითად მიზანს წარმოადგენდა არა ენის ცოდნა, არამედ ენის გამოყენების უნარი. უცხოური ენის გაკვეთილზე მოსმენისა და ლაპარაკის უნარ-ჩვევის განვითარებას უპირატესობა ენიჭებოდა. გავრცელებული ტექსტის ტიპი იყო სახელმძღვანელოს ავტორის მიერ ხელოვნურად შექმნილი დიალოგი, რომელიც წარმოადგენილი იყო როგორც ყოველდღიური, სამეტყველო ენის მოდელი. ყოფით დიალოგებს ემატებოდა ინფორ-

მაციული ტექსტები, რომლებიც ქვეყანათმცოდნეობითი ინფორმაციით იყო გაჯერებული, ხოლო მხატვრული ტექსტები სასწავლო პროცესიდან მთლიანად იყო ამოღებული. (შავერდაშვილი. ე. 2014წ.). აუდიო-ლინგვური მეთოდი ყურადღებას აქცევდა სწორ მეტყველებას - გრამატიკულ გამართულობას და სწორ წარმოთქმას. (Tsitsishvili, R; Nizharadze, N; Darchia, M; Tevzaia, M; Tkavashvili, E. 2008).

აუდიო-ლინგვუალური მეთოდის ძირითადი პრინციპებია:

- სამეტყველო ენის წინ წამოწევა და მოსმენისა და ლაპარაკის უნარ-ჩვევების უპირატესობა კითხვისა და წერის უნარ-ჩვევებთან შედარებით;
- გრამატიკული თემების ენის შემსწავლელისათვის მიწოდება ყოფითი სიტუაციების, დიალოგური ფორმების საშუალებით;
- ენობრივი იდეალების ავთენტურობა (მშობლიური ენის მატარებლის ენობრივი ჩვევების, განსაკუთრებით მისი წარმოთქმის მიბაძვა);
- ენობრივი მოდელების დასწავლა იმიტაციისა და ხშირი გამეორების გზით;
- მშობლიური ენის გამორიცხვა, სრული ერთენოვნება; (შავერდაშვილი.ე. 2014წ.).

აუდიო-ლინგვური მეთოდისათვის დამახასიათებელია:

- ახალი მასალა შეისწავლება დიალოგების სახით;
- იმიტირება და დამახსოვრება ყველაზე მეტად დამახასიათებელი თავისებურებაა აღნიშნული მეთოდისათვის;
- სტრუქტურა და წყობა ისწავლება გამეორების გზით (მექანიკური სავარჯიშოები);
- გრამატიკა ისწავლება ინდუქციურად; გრამატიკული პროგრესია აგებული იყო პრინციპით მარტივიდან-რთულისკენ და გრამატიკის ამა თუ იმ მოვლენის ირგვლივ იგებოდა სასწავლო მასალაც.
- სიტყვათა მარაგი ლიმიტირებულია და ისწავლება წინადადებებში;
- საკლასო ოთახი ნამდვილად ჰგავს აუდიო ლაბორატორიას;
- მშობლიური ენის გამოყენება ნებადართული არაა;
- წარმატებულ პასუხებზე უმაღლეს ხდება რეაგირება;
- ხდება დიდი ძალისხმევა იმისათვის, რომ მოსწავლეებმა სწორად წარმოთქვან სიტყვები;
- არსებობს ტენდენცია იმის, რომ მოხდეს ენის მანიპულირება.

ტიპიური პროცესები აუდიო-ლინგვური მეთოდის გამოყენების დროს საკლასო ოთახში:

- მოსწავლეები ისმენენ დიალოგს;
- მოსწავლეები იმეორებენ დიალოგს მასწავლებლის შემდეგ;
- მასწავლებელი ცვლის წინადადების სტრუქტურას, ან სიტყვებს ამოიღებს წინადადებებიდან და მოსწავლეები ავსებენ მათ.

აუდიო-ლინგვური მეთოდის გამოყენებისას დამახასიათებელია შემდეგი აქტივობები:

- დიალოგის დამახსოვრება (dialogue memorization);
- წინადადების დანაწევრება (backward build-up drill);
- განმეორებითი სავარჯიშო (repetition drill);
- წინადადებების ტრანსფორმაცია (transformation drill);
- სიტყვათა შენაცვლება (substitution);
- ჯაჭვური სავარჯიშო (chain drill);
- დიალოგის სრულყოფა (dialogue completion); (Tsitsishvili, R; Nizharadze, N; Darchia, M; Tevzaia, M; Tkavashvili, E. 2008).

3.2. აუდიო-ვიზუალური მეთოდი

სახელწოდება აუდიო-ვიზუალური შედგება ორი ლათინური სიტყვისგან: *audire* – ნიშნავს მოსმენას და *videre* – ნიშნავს ხედვას/შეხედვას. შესაბამისად, აუდიო-ვიზუალური მეთოდი ნიშნავს მოსმენა-დანახვის მეთოდს. აუდიო-ვიზუალური მეთოდის მიხედვით, გაკვეთილის მთავარი პრინციპია ის, რომ ენა მუდმივ კავშირშია ოპტიკურ თვალსაჩინოებებთან და, ამიტომ, ახალი დიალოგის შინაარსი ენის შემსწავლელს გაკვეთილზე თავდაპირველად ვიზუალური საშუალებებით წარედგინებოდა და შემდეგ ამავე დიალოგის ენობრივი ფორმების გაცნობა ხდებოდა. (შავერდაშვილი.ე. 2014წ.).

ამ მეთოდის შემქმნელები, პ. გუბერინა (ზაგრების ფონეტიკის ინსტიტუტის დირექტორი) და პ. რივანი (სენ-კლუს მეცნიერულ-მეთოდური ცენტრის დირექტორის მოადგილე), აუდიტორიაში მუშაობის სხვადასხვა საფეხურებს გვთავაზობენ: „მასალის პრეზენტაცია, ახსნა, გამეორება,

აქტივიზაცია. ფონეტიკური და გრამატიკული მასალა ისწავლება მთლიანობაში. ყოველი ახალი ბგერა კი - რიტმულ ჯგუფში. (გიორგობიანი, ლ. და სხვ. 2004წ.).

აუდიო-ვიზუალური მეთოდის მიხედვით, გაკვეთილი შემდეგნაირად მიმდინარეობდა:

- გაკვეთილი იწყებოდა სურათის ან კოლაჟის ჩვენებითა და აუდიო ჩანაწერის/დიალოგის მოსმენით. ამასთანავე ხდებოდა ვიზუალური მასალის აკუსტიკურ მასალასთან დაკავშირება ისე, რომ ორივე ერთად სემანტიკურ ერთობას ქმნიდნენ;
- გაკვეთილის მომდევნო ფაზაში ხდებოდა მასალის სემანტიზაცია, ანუ ახალი მასალის მნიშვნელობების ახსნა (ცალკეული პასაჟების განმეორებითი მოსმენით, კითხვა-პასუხით და ა.შ.);
- გაკვეთილის შემდეგ ნაწილში მოსწავლეების სურათისა და ტექსტის მრავალგზის გამეორებით დიალოგს ზეპირად სწავლობდნენ;
- მომდევნო ფაზაში ენის შემსწავლელი თავად ადგენდა მოცემულ სურათთან კავშირში დიალოგს და როლური თამაშით წარადგენდა მას ფორუმში;
- ახალ მასალაზე ვარჯიში ყოველ გაკვეთილზე მიმდინარეობდა. განსაკუთრებით დამახასიათებელი იყო ამ მეთოდისათვის ახალ გრამატიკულ სტრუქტურებთან დაკავშირებული წინადადებების მოდელეებზე ვარჯიში;
- გაკვეთილი სრულდებოდა წერისა და კითხვის უნარ-ჩვევების გაკვეთილში ჩართვით.

აუდიო-ვიზუალური მეთოდი აუდიო-ლინგუალური მეთოდისაგან ძირითადად განსხვავდებოდა აკუსტიკური და ვიზუალური მასალის პარალელური გამოყენებით. (შავერდაშვილი.ე. 2014წ.).

3.3. კომუნიკაციური მეთოდი

ენის სწავლების კომუნიკაციური მეთოდი საკმაოდ თანამედროვე მეთოდია. ის წარმოიშვა 1980 - იან წწ-ში. ენის კომუნიკაციური მეთოდის სწავლების მთავარი მიზანი არის რეალური

კომუნიკაცია. მასწავლებელი ადგენს ისეთ სიტუაციას, რომელიც შემსწავლელს სავარაუდოდ შეხვდება რეალურ ცხოვრებაში.

კომუნიკაციური მეთოდის ძირითადი არსი მდგომარეობს იმაში, რომ უცხო ენის შესწავლა მიმდინარეობს შესაბამის კონტექსტში, რაც გრამატიკული და ლექსიკური საშუალებების შესაბამის გამოყენებას მოითხოვს. ამ მეთოდით ენის შესწავლის დროს შემსწავლელი უფრო მეტად წარმატებულია, ვინაიდან ეს მიდგომა მას ხელს უწყობს: შინაარსის უკეთ გაგებასა და საკითხავი მასალის ეფექტურად აღქმაში. შედეგად, მისი მოტივაცია ენის შესწავლის მიმართ საკმაოდ მაღალია. (Howatt, A. 1984.).

ენის სწავლების კომუნიკაციური მეთოდი ნაკლებად ფოკუსირდება გრამატიკის სწავლებაზე, რადგან სამიზნე ენის შესწავლისას ძირითადი აქცენტი გადატანილია საუბარსა და მნიშვნელობის გაგებაზე. აღნიშნულ მეთოდთან დაკავშირებით არსებობს რამოდენიმე იდეა:

- კომუნიკაციური კომპეტენცია გულისხმობს ენის ცოდნას და მის გამოყენებას სხვადასხვა სიტუაციებში;
- გაკვეთილები მიზანმიმართულია სიტყვის დანიშნულების სწავლაზე, არა მის ფორმაზე;
- ენა უკეთ შეისწავლება, თუ მოხდება მისი გამოყენება რეალურ სიტუაციებში;
- კომუნიკაციურ საკლასო ოთახში მოსწავლეებს ასწავლიან ენის გამოყენებას პროდუქტიულად (მეტყველება და წერაში) და რეცეპტიულად (მოსმენასა და კითხვაში).

აღნიშნული მეთოდის ამოცანას წარმოადგენს შემდეგი:

- შემსწავლელმა შეძლოს წარმატებული ინტერაქცია სამიზნე ენაზე;
- დაეუფლოს, განივითაროს და გამოიყენოს შესასწავლი ენა;
- შეძლოს კომუნიკაცია რეალურ ცხოვრებისეულ სიტუაციებში, რაც გულისხმობს აზრთა და ინფორმაციის გაზიარებას;
- განივითაროს ენის ოთხივე უნარ-ჩვევა: მოსმენა, მეტყველება, წერა და კითხვა. (Tsitsishvili, R; Nizharadze, N; Darchia, M; Tevzaia, M; Tkavashvili, E. 2008).

ენის სწავლების კომუნიკაციური მეთოდის გაკვეთილზე გამოიყენება სამი სახის მასალა:

- ტექსტზე დაფუძნებული (text-based),
- ამოცანაზე დაფუძნებული (task-based),
- რეალიები (realia); (Richards, J. and Rogers. T. 1986.).

პირველში მოიაზრება დიალოგები, მოთხრობები, ასევე სურათები. მეორე გულისხმობს პატარა ბროშურებს, ბარათებს, წყვილური მუშაობისათვის საჭირო მასალას და მოსწავლეთა შორის ინტერაქციისათვის საჭირო ბუკლეტებს. რეალიები კი თავისთავად გულისხმობს ავთენტურ, ცხოვრებისეულ მასალას. (Tsitsishvili, R; Nizharadze, N; Darchia, M; Tevzaia, M; Tkavashvili, E. 2008). მოსწავლეები ისწავლიან უკეთ, თუკი მათ მიეცემათ შესაძლებლობა წაიკითხონ ან გაიგონონ ენა, გამოიყენონ იგი რეალურ სიტუაციებში. ამიტომაც, უკანასკნელ პერიოდში უცხოური ენის შესწავლისას სულ უფრო პოპულარული ხდება როლური თამაშები და სიმულაციები; საუბრის დროს ნაკლებად ექცევა ყურადღება სიზუსტეს, უპირატესობა ენიჭება თავისუფალ მეტყველებას. (Larsen-Freeman, D. 1986). ენის სწავლების კომუნიკაციური მეთოდი გულისხმობს შემდეგს:

- აღნიშნული მეთოდის მიზანი მიმართულია კომუნიკაციურ უნარზე და არა გრამატიკულ, ან ლინგვისტურ კომპეტენციაზე;
- ენობრივი ტექნიკა შექმნილი და გამოყენებულია იმისათვის, რომ ენის შემსწავლელმა შეძლოს ენის პრაგმატულ, ავთენტურ და ფუნქციურ კონტექსტში გამოყენება;
- აღნიშნული მეთოდის ამოცანაა, მოსწავლემ შეძლოს ენის პროდუქტიულად და რეცეპტიულად გამოყენება. (Brown, D. 2000).

უცხო ენა გამოყენებულ უნდა იქნას, როგორც სამეტყველო-სააზროვნო აქტივობის იარაღი. მისთვის საჭირო უნარ-ჩვევების განვითარებას კი ხელს უწყობს კომუნიკაციური სწავლების მეთოდი. აღნიშნული მეთოდის გამოყენებისას, შემსწავლელები ერთვებიან ისეთ აქტივობებში, როგორცაა: დიალოგების წარმართვა, ჯგუფური/წყვილური მუშაობა, როლური თამაშები და სხვ. მოცემულ აქტივობებზე დაყრდნობით, ყოველივე ეს ხელს უწყობს მათ მიერ ენის პრაგმატულ და ფუნქციურ გამოყენებას. (Littlewood, W.1996).

ენის სწავლების კომუნიკაციური მეთოდი ნაკლებად ფოკუსირდება გრამატიკის სწავლებაზე, რადგან სამიზნე ენის შესწავლისას ძირითადი აქცენტი გადატანილია საუბარსა და მნიშვნელობის გაგებაზე. შეიცვალა მასწავლებლის როლიც, თუ იგი ასრულებდა ცოდნის გადამცემისა და კლასის კონტროლიორის როლს, ახალი მეთოდის მიხედვით მან ფასილიტატორის (დამხმარის) როლი შეითავსა. (Farrell, Th. and Jacobs, G.2010).

პედაგოგი ძირითადად ფასილიტატორისა და დამკვირვებლის როლს ასრულებს. მას ენიჭება ორი ძირითადი ფუნქცია: პირველი ფუნქცია გულისხმობს დაეხმაროს ყველა მოსწავლეს კომუ-

ნიკაციის დამყარებაში (რესურსების ორგანიზატორი), ხოლო მეორე ფუნქციის მიხედვით, იგი სწავლა-სწავლების პროცესის დამოუკიდებელი მონაწილეა (თვითონაა რესურსი). (Breen, M., and Candlin, C. 1980).

კომუნიკაციური მეთოდების ძირითადი მახასიათებლებია:

- მეცადინეობის ღია და მოქნილი კონცეფცია.
- ყურადღების ფოკუსირება თემებსა და შინაარსზე, კომუნიკაციის კონტექსტუალიზირება (ლინგვისტური პრაგმატიკა).
- ავთენტური ენის გამოყენება, ავთენტური ტექსტები და დავალებები .
- განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ლაპარაკის უნარის განვითარებას.
- ყოველდღიური მეტყველების გათვალისწინება (დიალოგები) მეცადინეობის ფარგლებში; უკანსკნელ დროს, სულ უფრო მეტი დრო ეთმობა წერითი მეტყველების და კითხვის კომუნიკაციური კომპეტენციის განვითარებას.
- გრამატიკა როგორც მიზნის მიღწევის საშუალება და როგორც მეცადინეობის თვითმიზანი.
- ლიტერატურული ტექსტების გამოყენება.
- გაგების პროგრესის მიღწევა, რომელიც მიმართულია ენის აქტიურ გამოყენებაზე.
- ენის შემსწავლელის აქტივირება (ენის შემსწავლელზე ორიენტირებული სწავლება) ენის კრეატიული გამოყენება.
- პარალელური ინფორმაციის მიწოდების მნიშვნელობა, განსაკუთრებით უცხო ქვეყნის რეალიზის ვიზუალიზება.
- სწავლების განსხვავებული სოციალური ფორმები, რომელთა მიზანია ინტერაქციის ხელშეწყობა (მუშაობა წყვილებსა და ჯგუფებში).
- სავარჯიშოების ტიპების მრავალფეროვნება. (Roche, 2001)

3.4. პირდაპირი მეთოდი

პირდაპირი მეთოდის ძირითად მიზანს წარმოადგენდა გრამატიკულ-მთარგმნელობითი მეთოდიდან აქტიურ უცხოური ენის გაკვეთილზე ორიენტირება, სადაც წერით ენასთან შედარებით

სამეტყველო ენას აბსოლუტური პრიორიტეტი ენიჭება. პირდაპირი მეთოდი გულისხმობდა, უპირველეს ყოვლისა, იმას, რომ უცხოური ენის შესწავლა პირდაპირ, მშობლიური ენის გარეშე უნდა ხდებოდეს და მისი გამოყენება გაკვეთილზე მაქსიმალურად შეზღუდულია. პირდაპირი მეთოდის მიმდევრების მოსაზრებით, სწორედ ამ გზით ეჩვევა მოსწავლე შესასწავლ ენაზე ფიქრს და ამ სახით ხდება მისი განვითარება. მასწავლებელი, რომელიც იყენებს ამ მეთოდს, განზრახული აქვს, რომ მოსწავლეებმა ისწავლონ კომუნიკაცია. მოსწავლეებმა უნდა ისწავლონ ფიქრი იმ ენაზე რომელსაც სწავლობენ. (Jeremy Harmer, 1991).

გაკვეთილის ძირითად პრინციპებს წარმოადგენდა:

- აღმოჩენითი სწავლის მცდელობა და ამით მოსწავლის ავტონომიურობის განვითარება;
- ჰოლისტური მიდგომა;
- მასწავლებლის როლის ახლებური გაგება: მასწავლებელი როგორც პარტნიორი ენის შესწავლის პროცესში და არა დომინანტი და ყველაფრის მცოდნე;
- სწავლების სხვადასხვა სოციალური ფორმის სასწავლო პროცესში ჩართვა. ნაცვლად მხოლოდ ფრონტალური გაკვეთილისა, მუშაობა წყვილებში და ჯგუფებში დავალებების ერთობლივად შესასრულებლად და ა.შ.;
- მოსწავლეთა შექება დასჯის ნაცვლად; გამხნეება შეცდომების მუდმივი კონტროლის ნაცვლად;
- სასწავლო პროცესების შეჯამება პროექტების სახით;
- საკუთარი ცოდნის რეფლექსია ნასწავლი მასალის ბოლოს. და სხვ. (შავერდაშვილი. ე. 2014წ.).

ენის შესწავლა მასწავლებლის მიზანმიმართული გზით მიმდინარეობდა (მოსმენა-გამეორება) და ლექსიკას მოსწავლეები ასოციაციურად ეუფლებოდნენ, რაც იმას ნიშნავს, რომ ახალი სიტყვების გაგებისა და შესწავლისას მოსწავლეები მათ რაიმე კონკრეტულ საგნებთან აკავშირებდნენ და ისე ითვისებდნენ. (Jeremy Harmer, 1991.).

გაკვეთილზე უმეტესწილად გამოიყენებოდა შემდეგი სავარჯიშოთა ტიპები:

- კითხვა-პასუხი;
- სავარჯიშოები წარმოთქმაზე სავარჯიშოდ;
- ტექსტში გამოტოვებული ადგილების შევსება;
- დიალოგების გათამაშება;

- სტროფებისა და სიმღერების ზეპირად დასწავლა;
- კარნახი და ტექსტების მოყოლა.

პირდაპირი მეთოდის ძირითადი პრინციპებია:

- სამეტყველო ენა წერით ენასთან მიმართებაში პრიორიტეტულია;
- მოსმენას და ლაპარაკს უფრო დიდი ყურადღება ექცევა ვიდრე კითხვას და წერას;
- ენის შესწავლა გულისხმობს შესასწავლი ენობრივი იდეალის, ანუ მასწავლებლის მიზანძვას;
- უცხოური ენის გაკვეთილი შესასწავლ ენაზე მიმდინარეობს;
- შესასწავლი მასალის დაკავშირება ყოველდღიურ ყოფით სიტუაციებთან ხდება, რომელიც სახელმძღვანელოს ავტორის მიერ შედგენილ დიალოგებშია წარმოდგენილი; სასწავლო მასალის შერჩევა მოსწავლეთა ასაკის გათვალისწინებით ხდება. (შავერდაშვილი.ე. 2014წ.).

3.5. შინაარსზე დაფუძნებული მეთოდი

ძალიან მნიშვნელოვანი და თანამედროვე მეთოდი ესაა შინაარსზე დაფუძნებული მეთოდი. ეს მეთოდი ორიენტირებულია შინაარსსა და მნიშვნელობაზე, რაც ძალიან მნიშვნელოვანია უცხო ენის დაუფლების დროს. ამ მეთოდის გამოყენების დროს მოსწავლეები ერთმანეთს კონკრეტულ საკითხზე ესაუბრებიან, ხდება ინფორმაციის გაცვლა. ასე მყარდება მათ შორის კომუნიკაცია. (Lightbown, P. and Spada, N.1993). მასწავლებელს უნდა ჰქონდეს ფართო საგნობრივი განათლება. ასევე მას ევალება, შეარჩოს მასალა მოსწავლეების ინტერესებიდან გამომდინარე. მან უნდა შეძლოს შემსწავლელზე ორიენტირებული საკლასო გარემოს შექმნა. მასწავლებელი უნდა ფლობდეს შემდეგ უნარ-ჩვევებს აღნიშნული მეთოდის გამოყენების დროს:

- გამოიყენოს მრავალგვარი მითითებები;
- მიმართოს ჯგუფურ მუშაობას და გუნდური პრინციპის აგებას;

- განსაზღვროს შემსწავლელთა ინტერესები, ცოდნა და ენობრივი უნარჩვევები, რაც მოეთხოვება მას შემსწავლელთა წარმატების მიღწევისათვის;
- დაეხმაროს მოსწავლეებს, განვიტარონ ენის შესწავლის სტრატეგიები;
- გამოიყენოს შეცდომების შესწორების შესაბამისი ტექნიკა;
- დაეხმაროს შემსწავლელს მაღალი თვით-შეფასების განვითარებაში. აღნიშნულ გაკვეთილზე არ არის ნებადართული მშობლიური ენის გამოყენება.

სავარჯიშოები, რა თქმა უნდა, დამოკიდებულია შესასწავლი მასალის შინაარსზე. (Strayker, S., and Leaver, B. 1993).

3.6. ბუნებრივი მეთოდი

ბუნებრივი მეთოდი მიზნად ისახავდა კომუნიკაციის უნარ-ჩვევების განვითარებას. საკლასო აქტივობები მრავალფეროვანი უნდა ყოფილიყო. ბუნებრივი მეთოდის (Natural method) ფუძემდებლები არიან სტეფან კრაშენი და ტრეისი ტერელი. იგი დამყარებულია ენის კომუნიკაციურ სწავლებასა და რეალური სიტუაციების გამოყენებაზე. ის ბუნებრივი, ფსიქოლოგიური, პირდაპირი და ანალიტიკური მიდგომებია. ბუნებრივი მეთოდის გამოყენებისას მასალის ათვისება უნდა ხდებოდეს უშუალოდ, მშობლიური ენის ჩართვის გარეშე. მუშაობის ყველაზე მიზანშეწონილ ფორმად მიჩნეულია დიალოგი. აღნიშნული მეთოდის მიზანია, ენის შემსწავლელებმა შეძლონ გარკვეულ თემებზე შეუფერხებელი მეტყველება და წერა. დასწავლა მაშინ ხდება, როცა ენის შემსწავლელებს გასაგებად მიეწოდებათ ენობრივი მასალა. (Krashen, S., Terrell, T.1983). მხედველობაში მიიღეს რა საუბრის რთული ბუნება, ზეპირმეტყველების სწავლება შემდგომი ეტაპისთვის გადაიტანეს. ამ მეთოდის ფარგლებში სწავლების პირველი ეტაპის მიზანია მოსმენის უნარ-ჩვევების განვითარება, რომელიც გრძელდება მანამ, სანამ სტუდენტი თვითონ არ დაიწყებს მეტყველებას. აღსანიშნავია, რომ „ბუნებრივი მეთოდის“ მეორე ეტაპზე აქცენტი კეთდება მნიშვნელობაზე და ყურადღება ექცევა მხოლოდ იმ შეცდომებს, რომლებიც მნიშვნელობის გაგებას უშლიან ხელს. შემდეგ ეტაპზე კი მასწავლებლის მიერ შეცდომების გასწორება უფრო შეზღუდულია, რადგან მეტი ყურადღება მეტყველების უწყვეტობას ექცევა. ამ ეტაპზე ფართოდ გამოიყენება როლების გათამაშება, თამაშები, დისკუსიები და ა.შ. (Brown, D. 2007).

3.7. სრული ფიზიკური რეაგირება (Total Physical Response (TPR))

XX საუკუნის 70-იან წლებში გამოჩნდა კიდევ ერთი მეთოდი - სრული ფიზიკური რეაგირება /პასუხი (Total physical response). ეს არის ენის სწავლების მეთოდი, რომელიც ემყარება მეტყველებისა და მოქმედების კოორდინაციას. არის ცდა, რომ ენა შეისწავლოს ფიზიკური (მოტორული) მოქმედებით. (Richards, J. and Rogers. T.1986.).

სრული ფიზიკური რეაგირებას, როგორც უცხოური ენის სწავლების ალტერნატიული მეთოდის განვითარებას საფუძველი ჩაუყარა სან ხოსეს უნივერსიტეტში მოღვაწე ფსიქოლოგის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ჯეიმს ჯეი აშერმა. (შავერდაშვილი. ე. 2014წ.). სრული ფიზიკური რეაგირება ეყრდნობა თეორიას იმის შესახებ, რომ მეხსიერება აქტიურდება, როცა მას თან ახლავს ფიზიკური მოქმედება. (Brown, D. 2007).

მოსწავლეები უსმენენ მასწავლებლის მიერ შესასწავლ ენაზე მიცემულ მითითებებს და ასრულებენ შესაბამის ქმედებას. (Larsen-Freeman, D. 1986). რომელთა შესრულებაც მათ უხდებათ იმის დასადასტურებლად, რომ სწორად გაიგეს მათკენ მიმართული მოწოდების შინაარსი. ენის შემსწავლელებს არ სთხოვენ, ილაპარაკონ. მათი მოვალეობაა, გაიგონ და დაემორჩილონ მითითებებს. მაგალითად, როდესაც მასწავლებელი ამბობს “sit down” და ჯდება, შემსწავლელებიც სხდებიან, ან როდესაც მასწავლებელი ამბობს “stand up” და დგება, შემსწავლელებიც დგებიან. რამდენიმე მოწოდების წარდგენის შემდეგ, მასწავლებელი ცვლის მათ თანმიმდევრობას. ბრძანებები ეტაპობრივად რთულდება (if Megi has blue eyes, go to the door and knock twice). როდესაც მასწავლებელი დარწმუნდება, რომ ენის შემსწავლელებმა აითვისეს მის მიერ მოწოდებული ყველა მითითება, იგი სთხოვს რომელიმე მათგანს, ითამაშოს მასწავლებლის როლი და თავად წარმოსთქვას ეს მოწოდებები იმ თანმიმდევრობით, რომელი თანმიმდევრობაც მას სურს. შემსწავლელებს კი ევალებათ – დაემორჩილონ ამ მოწოდებებს და ფიზიკურად განახორციელონ ისინი. TPR-ის მიზანია, განუვითაროს ენის შემსწავლელებს სამეტყველო უნარ-ჩვევები ენის შესწავლის ადრეულ ეტაპზევე. (შავერდაშვილი. ე. 2014წ.).

მასწავლებელს აკისრია „რეჟისორის“ როლი და წარმართავს ენის შემსწავლელების ქმედებას (Asher, J.1977). ხოლო მოსწავლეს მხოლოდ მსმენელისა და შემსრულებლის როლი აკისრია. (Richards, J. and Rogers. T. 1986.).

ამ მიდგომის მიხედვით მუშაობისას სასურველია, მასწავლებელმა გაითვალისწინოს რამოდენიმე რჩევა:

- ✓ ცვალოს მოწოდებების თანმიმდევრობა;
- ✓ წინასწარ დაგეგმოს მითითებების რაოდენობა გაკვეთილზე, გაკვეთილის ამა თუ იმ ფაზაში;
- ✓ ენის შემსწავლელებს წარუდგინოს არა უმეტეს სამი ბრძანებისა ერთდროულად;
- ✓ ამ მითითებების შესრულების შემდეგ დაუმატოს ენის შემსწავლელებს ახალი მითითებები;
- ✓ ნელნელა გახადოს ახალ-ახალი მითითებები რთული და მრავალფეროვანი და ა.შ.

TPR-ის დადებით მხარედ უნდა ითქვას ის, რომ მასწავლებელი უმეტესწილად არ უსწორებს ენის შემსწავლელებს შეცდომას სწავლის დასაწყის ეტაპზე, რაც ხელს უწყობს მათ იმაში, რომ დროსთან ერთად სამიზნე ენაზე მეტყველება უფრო და უფრო დახვეწონ და თავდაჯერებულები გახდნენ. (შავერდაშვილი. ე. 2014წ.).

ამრიგად, ინგლისური ენის სწავლების მრავალი ალტერნატიული და თანამედროვე მეთოდი თუ მიდგომა არსებობს. მეთოდების ეფექტიანობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ადეკვატურად შეარჩევს მას მასწავლებელი. მათ ისეთივე ძველი ისტორია აქვთ, როგორც თვით სწავლებას. ეს ისტორია იცვლება იმის მიხედვით, თუ როგორ იცვლიდა სახეს სწავლების დანიშნულება და შინაარსი. ეს მიდგომები უადვილებს მოსწავლეებს კომუნიკაციის სწავლას და კომუნიკაციის უნარ-ჩვევების გაუმჯობესებას. თითოეული მათგანი საშუალებას აძლევს მოსწავლეებს გაკვეთილის პროცესში გააქტიურდნენ და მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა აქტივობებში.

თავი 4 . ინტერაქტიული სწავლების ფორმები

4.1. ინდივიდუალური მუშაობა

ინტერაქტიული სწავლება ფართო ცნებაა და თავის თავში გულისხმობს ეფექტური სწავლების ისეთ სტრატეგიებს, როგორცაა, მაგალითად თანამშრომლობითი ჯგუფური მუშაობა, საკლასო დისკუსია, დებატები, როლური თამაშები და სხვა. ინტერაქტიული სწავლების დროს სასწავლო პროცესი სასიამოვნო და სახალისოა, მოსწავლეები გაკვეთილის პროცესში აქტიურად არიან ჩართული და სასწავლო მიზნები მაქსიმალურად მიღწეულია. (ეფექტიანი სწავლება-თეორია და პრაქტიკა. 2010წ).

ინდივიდუალური მუშაობა ერთ-ერთი ყველაზე უფრო გავრცელებული სამუშაო ფორმაა და ნებისმიერი პერიოდის სასწავლო პროცესის თანამდევი მომენტია. ინდივიდუალური მუშაობისათვის დამახასიათებელია დავალებების დამოუკიდებლად და ინდივიდუალურად შესრულება მოსწავლეებთან ინფორმაციების გაცვლის გარეშე. სკოლის პირობებში სწავლების ეს ფორმა არც ისე ხელსაყრელია, რადგან მასწავლებელი ვერ ახერხებს თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური მუშაობის შეფასებას, ამას ხელს უშლის მოსწავლეების სიმრავლე და საგაკვეთილო პროცესის დროის სიმცირეც. ინდივიდუალური მუშაობა ძირითადად გამოიყენება:

- ახალ მასალაზე ვარჯიშისა და ნასწავლ მასალაზე გამეორების დროს;
- ტექსტების დეტალურად დამუშავების დროს;
- ისეთი დავალებების დროს, როდესაც ენის შემსწავლელს მიზნად ამა თუ იმ საკითხის დასწავლა აქვს განზრახული (მაგ. სიტყვების, მნიშვნელოვანი წინადადებების, ლექსების დასწავლა და სხვ.);
- საშინაო დავალებების შესრულების დროს;
- ტესტებზე მუშაობასა და გამოცდების ჩაბარების დროს და სხვა.

ინდივიდუალური მუშაობის დადებითი მხარეებია:

- გარკვეული ოდენობით „თვითსწავლა“ და „თვითგანვითარება“;
- განსხვავებული სირთულის დავალებების განაწილების შესაძლებლობის მიცემა მოსწავლეებისათვის;
- თვითეულ მოსწავლისათვის სასურველი ტემპით მუშაობის შესაძლებლობის მიცემა;
- მასწავლებლისათვის საშუალების მიცემა, მოსწავლეებს სათითაოდ მისცეს რჩევები;

- თვითეული მოსწავლისაგან შესაძლებელი აქტიურობა;
- მორცხვი მოსწავლეებისათვის შიშის მოხსნა, მთელი კლასის წინაშე პასუხის გაცემისათვის კუთხით;
- სასწავლო პროცესში ორგანიზებისათვის ნაკლებ დროის დათმობა და სხვ.

ინდივიდუალური მუშაობის უარყოფითი მხარეებია:

- სოციალურ-აღმზრდელობითი ასპექტების ნაკლებობა;
- ცალკეული მოსწავლეების შესაძლებელი იზოლაცია;
- კონკურენციის ხელშეწყობა;
- გათვალისწინებულზე მეტი დროის საჭიროება და სხვ. (შავერდაშვილი. ე. 2014წ.).

4.2 წყვილებში მუშაობა

უცხო ენის შესწავლის პროცესში მნიშვნელოვანია შემსწავლელებს შორის ინტერაქცია, აზრთა გაცვლა, რაც ენის შესწავლა უწყობს ხელს. შემსწავლელები ერთმანეთთან ურთიერთობენ, უვითარდებათ მიზნის მიღწევის უნარი. (Jeremy.H. 1991.).

წყვილური მუშაობა ყველაზე მოსახერხებელია დაბალ კლასებში მუშაობისას ან ისეთ მოსწავლეებთან, რომლებიც მორცხვობენ, ან არა აქვთ თანატოლებთან თანამშრომლობის გზით ამოცანების გადაჭრის დიდი გამოცდილება. ამდენად, საწყის ეტაპზე სასურველია, სწორედ ეს ფორმა გამოვიყენოთ. მასწავლებლებისთვისაც შედარებით ადვილია წყვილებში მუშაობის დაგეგმვა და წარმართვა. ამასთან მოსწავლეები წყვილებში ზოგჯერ იოლად ართმევენ თავს ისეთ რთულ დავალებებს, რომელთა შესრულებაც დამოუკიდებლად გაუჭირდებოდათ. ისეთი დავალებები, რომლებიც დაკავშირებულია გადაწყვეტილების მიღებასთან, ან პრობლემის გადაჭრის საუკეთესო გზების ძიებასთან, სწორედ წყვილებში უნდა წარიმართოს. ასევე, წყვილებში მუშაობა შეიძლება გამოვიყენოთ იმისათვის, რომ უფრო ძლიერმა მოსწავლემ დახმარება გაუწიოს მასზე სუსტს. ზოგადად, წყვილში მუშაობისას მასწავლებლის ყურადღება ფოკუსირებული უნდა იყოს იმაზე, რომ ერთი მოსწავლე არ დომინირებდეს მეორეზე. (სასწავლო და პროფესიული გარემო. 2008წ.).

4.3 ჯგუფური მუშაობა

ინტერაქტიული სწავლების ერთ-ერთ ფორმას და სასწავლო გარემოს ერთ-ერთ ღერძს ჯგუფური მუშაობა წარმოადგენს. იგი საგაკვეთილო პროცესში მოსწავლის მაქსიმალურ ჩართულობას მოითხოვს. ჯგუფური მუშაობისას ჯგუფში არის სამიდან ექვსამდე მოსწავლე, რომლებიც მინაარსობრივად წინასწარ ჩამოყალიბებულ დავალებას ურთიერთ დახმარებით ასრულებენ. (Douglas Brown, H. 2001). ჯგუფური მუშაობა ხელს უწყობს:

- ✓ დასწავლის ჩვევებისა და მოსწავლის ცნებითი, აბსტრაქტული აზროვნების განვითარების პროცესს;
- ✓ მოტივაციის ამაღლებას და სწავლის პროცესისადმი პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბებას;
- ✓ კლასში მოსწავლეთა ქცევისა და თანატოლებთან ურთიერთობის გაუმჯობესებას, ანუ კომუნიკაციისა და სოციალური უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას. (სასწავლო დაპროფესიული გარემო. 2008წ.).

კლასი/ ჯგუფი არის ერთი დიდი თემი/საზოგადოება, სადაც შემსწავლელელები სწავლობენ ერთმანეთთან თანამშრომლობით და აზრის გაზიარებით. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ჯგუფის წევრებს შორის დადებითი ატმოსფეროს შექმნა, თითოეული წევრის დაფასება და აღიარება, მათთვის საკუთარი აზრებისა და მოსაზრებების თავისუფლად გამოხატვის საშუალების მიცემა და ჯგუფის წევრთა ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინება. (Howatt. A. 1984.). აუცილებელია, რომ მასწავლებელმა ნათლად განსაზღვროს ინსტრუქციები და მზად ჰქონდეს საჭირო რაოდენობის დავალებები, რომლებიც ისე იქნება შერჩეული, რომ ხელს შეუწყობს ჯგუფში კონსტრუქციულ ურთიერთობებს. მიუხედავად იმისა, რომ ჯგუფური მუშაობა სწავლების პროცესში ერთ-ერთი ეფექტური მეთოდია, მას გარკვეული უარყოფითი მხარეებიც აქვს:

- თანამშრომლობითი ხასიათი - ამგარი ტიპის მუშაობა ნაკლებად უწყობს ხელს დამოუკიდებლად სწავლას.
- ჯგუფში შეიძლება გაჩნდეს ლიდერი, რომლის მოსაზრება მნიშვნელოვანი იქნება ჯგუფის სხვა წევრებისთვის, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ჯგუფის ლიდერზე ზედმეტი დამოკიდებულება და მისი აზრის უკრიტიკოდ მიღება.

- ჯგუფური მუშაობისას, შესაძლოა, მოსწავლემ განზრახ არ მიიღოს მონაწილეობა სამუშაო პროცესში და სხვების მიერ შესრულებული საქმით გავიდეს ფონს. ამდენად, ჯგუფური მუშაობისას რთულია თითოეული მოსწავლის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასება.
- იმ შემთხვევაში, როცა ჯგუფის რომელიმე წევრს არასწორი ინფორმაცია აქვს, შესაძლოა, მოხდეს მცდარი ინფორმაციის გავრცელება ჯგუფში. ეს განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მაშინ, როცა ამ მოსწავლეს ლიდერის ფუნქცია აქვს ჯგუფში და ავტორიტეტად ითვლება.
- ჯგუფური მუშაობა კომპლექსური პროცესია. ამის გამო, შეიძლება, მასწავლებლისათვის რთული აღმოჩნდეს ამ პროცესის მართვა. თანამშრომლობითი ჯგუფური მუშაობა ითვალისწინებს სპეციალურ მომზადებას. აუცილებელია, რომ მასწავლებელმა ნათლად განსაზღვროს ინსტრუქციები, ასევე მზად ჰქონდეს საჭირო რაოდენობის დავალებები, რომლებიც ისე იქნება შერჩეული, რომ ხელს შეუწყობს ჯგუფში კონსტრუქციულ ურთიერთობებს.

მასწავლებელმა უნდა გააკონტროლოს ჯგუფური მუშაობისას წარმოქმნილი უარყოფითი მხარეები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა თავიდან აიცილოს და არ დაუშვას შემთხვევები, როდესაც მოსწავლეს არ შეაქვს წვლილი ჯგუფურ მუშაობაში. ასეთ შემთხვევაში ეფექტური გამოსავალია, მასწავლებელმა საქმე თითოეულ მოსწავლეს გაუნაწილოს და შეაფასოს როგორც ცალკეული მოსწავლე, ასევე მთელი ჯგუფი. ასეთი მიდგომა ხელს შეუწყობს ჯგუფური მიზნების მიღწევასა და თითოეული მოსწავლის პასუხისმგებლობასაც გაზრდის. (ეფექტიანი სწავლება-თეორია და პრაქტიკა. 2010წ).

ჯგუფური მუშაობისას შემსწავლელები არულებენ სასწავლო ამოცანას, რაც მათ ზეპირი უნარ-ჩვევის დახვეწა-განვითარებაში ეხმარება. აგრეთვე მათ უაქტიურდებათ პასუხისმგებლობა და ხდებიან დამოუკიდებელი. კლასში ურთიერთდახმარებისა და თანამშრომლობის ატმოსფეროა. (Penny. Ur. 1996.). ისინი ერთმანეთს ეხმარებიან მასალა უკეთ გაიგონ, საკითხი გადაჭრან და მიაღწიონ საბოლოო შედეგს. ჯგუფში უფრო მეტი შესაძლებლობა იქმნება იმისა, რომ მის ერთ წევრს მაინც შეუძლია პრობლემის გადაჭრა მაშინ, როცა იგი წამოიჭრება. (Harmer Jeremy. 1991.).

მოსწავლეებისთვის მიცემული დავალება მასწავლებელმა სწორად და ნათლად უნდა ჩამოაყალიბოს. მუშაობის დაწყებამდე დავალების მიზნები მკაფიოდ უნდა განსაზღვროს. ჯგუფში ერთი ან რამდენიმე მოსწავლე პრეზენტატორი შეიძლება იყოს, რომლის ფუნქციაა ჯგუფის

ნამუშევრის მოკლე შინაარსის გადმოცემადა მთელი კლასისთვის წარდგენა. ჯგუფური მუშაობის დასრულების შემდეგ მასწავლებელმა კლასს უნდა გააცნოს მუშაობის შედეგები და მთელი პროცესი შეაფასოს. (ეფექტიანი სწავლება-თეორია და პრაქტიკა. 2010წ.).

4.4. პროექტით მუშაობა

დარგობრივ ლიტერატურაში პროექტირების მეთოდს ხშირად პროექტ-მეთოდს, პროექტ-გაკვეთილს, პროექტით სწავლას, პროექტით მუშაობას, პროექტზე ორიენტირებულ გაკვეთილს, პროექტირების მეთოდს, სასწავლო პროექტს ან პროექტზე დაფუძნებულ სწავლებასაც უწოდებენ. პროექტებით მუშაობას ხშირად ცალკე არ განიხილავენ და მას ჯგუფურ მუშაობას აკუთვნებენ, რადგან პროექტების მომზადება, ძირითადად, ჯგუფებში ხორციელდება. პროექტით მუშაობა არის სწავლების სოციალური ფორმა, რომლის დახმარებითაც :

- მოსწავლეებს ეძლევათ საშუალება, მასწავლებელთან ერთად ერთობლივი დისკუსიებისა და გარკვეული ქმედებების გზით გადაჭრან პრობლემები;
- განსაზღვრონ სწავლების შინაარსი და გაკვეთილის თემა, გაკვეთილის მიზანი და დასახული მიზნების განხორციელების მეთოდები;
- შეიმუშავონ პრობლემები, წარმოადგინონ შედეგები და შეაფასონ ჩატარებული მუშაობა.

პროექტზე მუშაობა სამი ძირითადი ფაზისაგან შედგება:

1. მოსწავლეების სასურველ თემაზე პროექტის დაგეგმვა;
2. ამ გეგმის რეალიზება ;
3. მიღებული შედეგების პრეზენტაცია.

პროექტით მუშაობა შესაძლებელია, შედგებოდეს მოკლევადიანი (მაგ.: ორი გაკვეთილი, ერთი კვირა) და გრძელვადიანი (მაგ.: ორი-სამი თვე, მთელი სემესტრი, მთელი წელი) პროექტებისაგან. პროექტით მუშაობისას გაკვეთილზე მასწავლებლები და მოსწავლეები მიმართავენ ერთობლივად ფორმულირებულ სასურველ თემას და მის დასამუშავებლად ადგენენ

გეგმას, მონაწილეობენ ამ გეგმის შესრულებაში და შედეგად წარმოადგენენ ერთ საერთო „პროდუქტს“. (შავერდაშვილი. ე. 2014წ.).

ამრიგად, ინტერაქტიული სწავლება ერთდროულად წყვეტს შემდეგ პრობლემებს:

- განავითარებს კომუნიკაციის უნარს;
- განავითარებს ერთობლივად სწავლის უნარ-ჩვევებს;
- უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პრობლემების გადაწყვეტას;
- ასწავლის გუნდურ მუშაობას, სხვისი მოსაზრების მოსმენას;
- ხელს უწყობს ღირებულებების დადგენას.

ინტერაქტიული სწავლის მეთოდიკა საშუალებას გვაძლევს გავააქტიუროთ მოსწავლის შემეცნებითი შესაძლებლობები და ხელი შევუწყოტ მათ დდამოუკიდებელი მუშაობის უნარის განვითარებაში.

თავი 5. ექსპერიმენტი

5.1. ექსპერიმენტის მიზანი და მეთოდოლოგია

ჩემს მიერ ჩატარებული ექსპერიმენტის მიზანია, შევეცადო მოვიძიო გზები და სტრატეგიები, რაც მოსწავლეებს ხელს შეუწყობს კომუნიკაციური უნარების განვითარებას, რომ აუცილებელია, მათ გადადგან ნაბიჯები შეცდომის შიშის დაძლევისაკენ, რომ ეს არის პრობლემა, რომელიც ერთობლივად უნდა დავძლიოთ სკოლამ - თავისი კეთილგანწყობილი გარემოს შექმნით და წახალისებით, მასწავლებელმა - მრავალფეროვანი, მოსწავლეთა ინტერესებზე და საჭიროებებზე მორგებული სახალისო და ინტერაქტიური აქტივობებით და აგრეთვე მეგობრული, კეთილგანწყობილი დამოკიდებულებებით. ეს ნაბიჯები მოსწავლეს უბიძგებს იყოს მეტად თავდაჯერებული, ღია და მოტივირებული იმისთვის, რომ გამოხატოს თავისი აზრი ინგლისურ ენაზე. ამასთანავე კვლევით პასუხი უნდა გაეცეს კითხვებს, რომლებიც უკავშირდება სკოლებში კომუნიკაციური უნარის დაბალი დონის წარმოქმნილ პრობლემებს. მოსწავლეები უნდა მიხვდნენ, რომ კომუნიკაცია ორმხრივი პროცესია და ის თუ არ ამოქმედდა მხოლოდ ერთი მხარე, ამ შემთხვევაში, მასწავლებლის მხარე, უძლურია. თუ მოსწავლე მხოლოდ პასიური მსმენელის როლშია, და არ ცდილობს საკლასო თუ კლასგარეშე აქტივობებში ჩართვას, მისთვის უნდა შევექმნათ ყველა პირობა, რომ შეძლოს თუნდაც მარტივ ინტერაქციაში მონაწილეობა.

ექსპერიმენტის აღწერა

ექსპერიმენტში მონაწილეობას იღებდა:

IV- V-VI კლასები დაწყებითი საფეხური (26 მოსწავლე);

VII- VIII-IX კლასები საბაზო საფეხური (19 მოსწავლე);

სამიზნე ჯგუფები დავყავი ორ შტოდ. ერთის მხრივ დაწყებითი საფეხურის, ხოლო მეორეს მხრივ - საბაზო საფეხური. ამ ორი ასაკობრივი ჯგუფის თავისებურებების შედარებამ კიდევ უფრო ნათლად დამანახა პრობლემების არსი და გამომწვევი მიზეზები. შესაბამისად, ეს დამეხმარა მიზნის მიღწევისთვის საჭირო გზების მოძიებაში. კვლევაში გამოვიყენე მასობრივი გამოკითხვის მეთოდი და დაკვირვების დღიური, საუბრები, დისკუსიები და აგრეთვე წერილობითი გამოკითხვა.

მონაცემთა შეგროვებისთვის ვიყენებდი ძირითადად ანკეტებს დახურული შეკითხვებით. უპირატესობას ვანიჭებდი ანონიმურ კითხვებს, რადგან მიმაჩნია, რომ ასეთ დროს მიღებული ინფორმაცია უფრო ობიექტურია და გულწრფელ პასუხებზეა დაფუძნებული. სხვადასხვა აქტივობების დროს ხშირად ვმართავდი დისკუსიებს, სადაც მოსწავლეებს ვუბიძგებდი ეთქვათ სათქმელი ინგლისურ ენაზე.

ექსპერიმენტი გრძელდებოდა თვე ნახევარი, რომელიც 6 სასწავლო კვირას მოიცავს. მოსწავლეები ხშირად მართავდნენ დისკუსიებს, პასუხობდნენ მარტივ შეკითხვებს: ვინ იყო მთავარი პერსონაჟი? როგორი იყო ის? რა მოეწონათ ყველაზე მეტად? რა არ მოეწონათ? ისინი რეგულარულად ითხოვდნენ მნიშვნელოვანი ფრაზების დაფაზე გამოტანას და ჩანიშვნას. აგრეთვე ნანახი ანიმაციური ფილმების მიხედვით კომიქსების შედგენასა და პრეზენტაციას. ეს არამარტო ავითარებდა პრეზენტაციის უნარებს, არამედ ავითარებდა წერითი მეტყველების უნარებს.

IV-V-VI კლასის მოსწავლეები აქტიურად ჩაერთვნენ სხვადასხვა ინტერნეტ თამაშებში, რაც ამდიდრებდა ლექსიკას და ამასთანავე, სიტყვის სწორად წარმოთქმას ასწავლიდა მათ. ნასწავლ ლექსიკაზე დაყრდნობით წინადადებების და შემდგომ დიალოგების აწყობა. მათ უკვე იციან, რომ მხოლოდ სიტყვების ცოდნა არ არის ჩვენი მიზანი და თუ კი ვიცით 10 სიტყვა უნდა შეგვეძლოს მინიმუმ ათი წინადადების შედგენა. ამასთანავე ყველა კლასში ვაწარმოებდი გამოკითხვას, რაც მეხმარებოდა მომდევნო აქტივობის დაგეგმვაში.

IV-V-VI კლასებში კვლევებმა მაჩვენა, რომ ნიმუშზე დაყრდნობით ახალი დიალოგის შედგენა და გათამაშება მეტად სახალისო და საინტერესო იყო, ამიტომაც კომუნიკაციური უნარების განმტკიცების მიზნით IV კლასში დავგეგმე გაკვეთილი, სადაც დავისწარი კოლეგები და მშობლები. მოსწავლეებს ჯერ უნდა გაეთამაშებინათ სახელმძღვანელოში მოცემული სცენარი, შემდეგ კი დიალოგები თავად უნდა შეექმნათ და გაეთამაშებინათ რეალურ ცხოვრებისეულ სიტუაციებში. ავირჩიეთ ყველასთვის საყვარელი თემა „შოპინგი“. კლასში მოვაწყვეთ სხვადასხვა მაღაზია. ერთი მაღაზია იყო ტანსაცმლის, მეორე-საკანცელარიო. მოსწავლეები ხალისით ჩაერთვნენ კლასის მოწყობაში და შემდგომ ამ მაღაზიებში წარმართულ დიალოგების გათამაშებაში. ჯგუფებმა საკმაოდ თავდაჯერებულად, მონდომებითა და ხალისით გააკეთეს კლასში შექმნილი დიალოგების პრეზენტაცია. ეს მათ მიერ წინ გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯი იყო.

პარალელურად, V კლასში კვირაში ერთხელ 30 წუთს ვუთმობდი ინგლისურენოვან ანიმაციური ფილმების ჩვენებას. წლის დასასრულს კი დავგეგმეთ თავად ვყოფილიყავით

ანიმაციური ფილმების გმირები. გავაერთიანეთ „დისლეი ლენდისა“ და ქართული მულტფილმების გმირები ერთ დიდ ზღაპარში და ავალაპარაკეთ ეს გმირები ინგლისურად. ეს სპექტაკლი იყო ინგლისური ენის ზეიმი. დავისწარით მოსწავლეები, მშობლები და მასწავლებლები. საოცარი შედეგი აჩვენა თითოეულმა მოსწავლემ კომუნიკაციური უნარ-ჩვევების კუთხით. ვფიქრობ, რომ სწორი გადაწყვეტილება მივიღე, როცა საკვლევ თემად ავიღე კომუნიკაციური უნარ-ჩვევების განვითარება სასწავლო პროცესში.

რაც შეეხება VII- VIII-IX კლასებს, ისინი უფრო მეტი სერიოზულობით მოეკიდნენ საკვლევ საკითხს. აქტიურად ცდილობდნენ მუდმივად ჩართულიყვნენ სხვადასხვა „speaking“-ის აქტივობებში. თუმცა აქაც იყო მთელი რიგი პრობლემები აზრის თავისუფლად გამოხატვის თვალსაზრისით. კვლევის შედეგად აღმოვაჩინე, რომ ბევრ მათგანს ერჩივნა წერილობითი სახით, მაგალითად ესეების დაწერის საშუალებით გამოეხატათ საკუთარი შეხედულებები ამა თუ იმ საკითხზე. საწყის ეტაპზე არ შევეწინააღმდეგე მათ, შემდეგ კი თანდათანობით ვუბიძგე დაეძლიათ თვითრეალიზების კომპლექსი და ჩართულიყვნენ ზეპირ დისკუსიებსა და დიალოგებში, რადგანაც ჩვენი მიზანი ზეპირი კომუნიკაციის უნარების განვითარება იყო.

მივხვდი, რომ ყველაფერთან ერთად მჭირდებოდა მოსწავლეებში თანაგანცდის უნარების გაზრდაც. ამ მიზნით VII-VIII-IX კლასის მოსწავლეებს ვაყურებინე ინგლისურენოვანი ფილმი „საოცრება“. ერთის მხრივ ყურადღება გავამახვილეთ ფილმის შინაარსობრივ მხარეზე, მეორეს მხრივ, იგი შესანიშნავი რესურსი აღმოჩნდა კომუნიკაციური უნარების განვითარებისათვის. ფილმის ჩვენებისას ვაკვირდებოდი და ვინიშნავდი თითოეული მოსწავლის ემოციას, კომენტარს. შემდეგ ვმართავდით დისკუსიას ინგლისურ ენაზე. ვადარებდით ქართულ და ამერიკულ სკოლებს, მასწავლებლებს, მოსწავლეებს და დამოკიდებულებებს ერთმანეთს.

კვლევის მეთოდები:

თვისობრივი (დიალოგური სიღრმისეული ინტერვენცია, ფოკუს ჯგუფები).

დაკვირვება: უბრალო და ჩართული აღწერითი, ფოკუსირებული და შერჩევითი.

კვლევის ვადები


აპრილი - მაისი

	I კვირა	II კვირა	III კვირა	IV კვირა	V კვირა	VI კვირა
საკვლევი საკითხის შერჩევა	+					
დღიურის წარმოება და მნიშვნელოვანი ნაბიჯების დაგეგმვა		+				
კითხვარის შედგენა და გამოკითხვის წარმოება		+	+			
მიზნის მისაღწევად რამდენიმე აქტივობების განხორციელება				+	+	
მიღებული შედეგების ანალიზი					+	
სავარაუდო ინტერვენციების განხორციელება					+	+
კათედრაზე პრეზენტაცია						+

კვლევის ანალიზი

კითხვები ანკეტირებისათვის

1. არის თუ არა კომუნიკაციური უნარების ფლობა მნიშვნელოვანი ინგლისური ენის შესწავლისას?




პასუხი კი 90%

პასუხი არა 10 %

ეს კითხვა აუცილებელი იყო დაგვესვა მოსწავლეებისთვის, რადგან თუ კი მოსწავლე ვერ აცნობიერებს რაოდენ დიდი როლი აკისრია კომუნიკაციური უნარების ფლობას ენის გამოყენებაში, მაშინ კვლევა აზრს კარგავს.

2. რამდენად ითვალისწინებს თქვენი სახელმძღვანელოები კომუნიკაციური უნარების განმავითარებელ სავარჯიშოებს?




პასუხი სრულიად 10%

პასუხი წაწილობრივ 80 %

პასუხი საერთოდ არა 10 %

სახელმძღვანელო მოსწავლეებისათვის მაინც ძირითადი რესურსია, რაც არ უნდა დამატებითი რესურსებით აღვჭურვოთ ჩვენი გაკვეთილი. ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს ჩემთვის რა შეფასებას აძლევენ ჩემი მოსწავლეები მას.

3. თქვენი აზრით რა განაპირობებს მოსწავლეებში კომუნიკაციური უნარების დაბალ დონეს?




პასუხი გარემო პირობები - 70%

პასუხი არაკვალიფიციური მასწავლებელი-2%

პასუხი შეუსაბამო სახელმძღვანელო _28%

გარემო პირობებში იგულისხმება ინგლისურად მოსაუბრე საზოგადოება, რომლებსაც მოსწავლეები ძალიან იშვიათად ხვდებიან ჩვენს ირგვლივ. ამ ეტაპზე ნაკლებია შესაძლებლობები, რომ მოსწავლეებს ურთიერთობა ჰქონდეთ მოხალისე ამერიკელ მასწავლებლებთან და ინგლისურად მოსაუბრე მასასთან.

4. რა გაბრკოლებს, როცა გინდა რომ საკუთარი აზრი თავისუფლად გამოხატო?




პასუხი შეცდომის დაშვების შიში-70 %

პასუხი არასაკმარისი ლექსიკური მარაგი -15%

პასუხი გრამატიკის არასათანადო ცოდნა -15%

ის ფაქტორი რომ მოსწავლეები საუბრებისგან თავს იკავებენ ეს ინტერვიუებშიც გამოიკვეთა და დისკუსიების წარმართვისას. თითქმის დარწმუნებული ვიყავი, რომ ამ კომპონენტში ამ შეკითხვას ხმათა დიდი რაოდენობა ექნებოდა.

5. რა სასკოლო და კლასგარეშე აქტივობები უწყობს ხელს კომუნიკაციური უნარების განვითარებას?




პასუხი ინგლისურენოვანი ლიტერატურის კითხვა-15%

პასუხი ინგლისურენოვანი ფილმების ნახვა - 35%

პასუხი ინტერაქციებში მონაწილეობა-50%

მიუხედავად იმისა, რომ ინტერაქციაში მონაწილეობას მოსწავლეთა დიდმა ნაწილმა დაუჭირა მხარი, მაინც მივიჩნევ, რომ ძალზე მნიშვნელოვანია პარალელურად ინგლისურენოვანი ლიტერატურის კითხვა და საინტერესო ფილმების ნახვა.

6. როგორია მოსწავლეთა მზაობა და მოტივაცია სამეტყველო უნარების განვითარებისათვის?



პასუხი მაღალი -70 %

პასუხი საშუალო -25%

პასუხი დაბალი-5%

მოსწავლეთა მოტივაციას განაპირობებს ის ფაქტორიც, რომ ინგლისური ენა არის საგამოცდო საგანი და მოსწავლეებს აქვთ სურვილი მიიღონ მაღალი შეფასებები. გარდა ამისა ტექნოლოგიების ერაში ინგლისურის ცოდნა დიდ როლს თამაშობს. ხშირად უსმენენ ინგლისურენოვან სიმღერებს, კითხულობენ ინგლისურენოვან ანოტაციებს, თამაშობენ სადაც ენის ფლობა ბევრ რამეში ჭირდებათ ან უბრალოდ სწავლობენ, იმისთვის რომ შეძლონ ლაპარაკი.

ამრიგად, კვლევამ ცხადყო, რომ უფროს ასაკში მეტია შეცდომების დაშვების შიში. ის ფრთხილობს, რადგან ემინია არ გახდეს პირველ რიგში მასწავლებლის მხრიდან საყვედურის,

ხოლო მეგობრების მხრიდან დაცინვის ობიექტი. თუმცა, როცა, მოსწავლე მიხვდა რომ მე, როგორც მეგობარი მისი გულშემატკივარი ვარ და თანაკლასელები მისი მის მიმართ კეთილგანწყობილნი არიან, ის აქ უკვე მეტად თავდაჯერებულია მოახდინოს თვითრეალიზება. გამოხატოს თავისი აზრი თავისუფლად ინგლისურ ენაზე. როდესაც გამოკითხვის შედეგებს ვადარებდი, კვლევის პირველ ეტაპზე სურათი იყო ასეთი, რომ მოსწავლეებს მაღალ საფეხურზე, რომელთაც აქვთ უფრო მეტი ლექსიკური მარაგი და გრამატიკული ცოდნა, არიან უფრო მეტად შეზღუდულები და შებოჭილები საუბრისას. ხოლო დაწყებით საფეხურზე, სადაც გრამატიკული ცოდნა მწირია და ლექსიკა არც თუ ისე მდიდარი, აქ მოსწავლეები მეტად გახსნილები და თავდაჯერებულები იყვნენ. მივხვდი, რომ ადვილი არ იქნებოდა როგორმე დაეძლიათ ჩემს მოსწავლეებს ეგრედწოდებული კომპლექსები ინგლისურ ენაზე საუბრისას. ანონიმურმა კითხვარებმა აჩვენა, რომ მოსწავლეებს აკლიათ თავდაჯერებულობა და აქვთ საკუთარი უნარების დაბალი თვითშეფასება, რაც ძირითადად პიროვნულ ხასიათს ატარებს ან მომდინარეობს თანატოლების მხრიდან არასათანადო შეფასებებიდან.

შედეგების ანალიზიდან გამოვიტანე დასკვნა, რომ მოსწავლეები მოტივირებულები არიან განვიტარონ სამეტყველო უნარ-ჩვევები, დამაბრკოლებელ ძირითად ფაქტორად ისინი მიიჩნევენ არაინგლისურენოვან გარემოს და სახელმძღვანელოთა შეუსაბამობას ესგ-სთან. თუმცა დარწმუნებული არიან, რომ მრავალფეროვანი საკლასო და კლასგარეშე აქტივობები დაეხმარება მათ კომუნიკაციური უნარების დახვეწაში.

5.2 სირთულეები კომუნიკაციის სწავლებისას და პრობლემის მოგვარების გზები

როდესაც გადავწყვიტე, რომ ჩემი კვლევა უნდა ყოფილიყო ინგლისური ენაში კომუნიკაციური უნარების განვითარებაზე, დასაწყისშივე მივხვდი, რომ ეს ძალზედ კომპლექსური საკვლევი საკითხია. იგი მოიცავდა არა მარტო ცალ-ცალკე ენობრივი ასპექტების კვლევას არამედ, ამ ასპექტების გაერთიანების უნარების შესწავლას, რომელიც ერთობლივად ქმნის სამეტყველო

პროდუქტს. ერთია იცოდე გრამატიკა, გქონდეს ლექსიკური მარაგი და მეორე, როგორ მოახდინო ყველაფერი ამის კომბინაცია და წარმოჩენა.

რა არის პრობლემა?

კვლევებმა აჩვენა რომ, პრობლემის გამომწვევი მიზეზები არის შეცდომის დაშვების დაუძლეველი შიში, არასათანადო გარემო პირობები, მოტივაციის ნაკლებობა, დაბალი თვითშეფასება, და სხვა. რამდენადაც მრავალფეროვანია პრობლემის გამომწვევი მიზეზები, იმდენად სხვადასხვაგვარია ამ პრობლემის გადაჭრის გზები. ეს შეიძლება ზოგისთვის იყოს ინგლისურენოვანი ფილმების ნახვა, ზოგისთვის ინგლისურენოვანი ლიტერატურის კითხვა, ზოგისთვის სხვადასხვა ინტერაქციებში და პროექტებში მონაწილეობის მიღება, პრეზენტაციები, როლური თამაშები. კვლევამ მიჩვენა, რომ სხვადასხვა დროს სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფთან, სხვადასხვა გარემოში კომუნიკაციურ უნარებზე მუშაობა იმდენად ინდივიდუალურია, რომ რთულია გამოიტანო დასკვნა, რომელი მეთოდი არის აქედან ყველაზე გამართლებული, იმისთვის, რომ მოსწავლემ შეძლოს პრობლემის დაძლევა.

კვლევის არსი მდგომარეობს არსებული საკვლევო საკითხების ირგვლივ არსებული სირთულეების გამომწვევი მიზეზების დადგენაში. საინტერესო უნდა გახდეს ჩვენთვის ყველა რესპოდენტის აზრი. ყველა მათი მხრიდან წამოსული იდეები და შემოთავაზებები არ უნდა დარჩეს ყურადღების მიღმა. ჩვენ უნდა დავანახოთ რომ კვლევისთვის მნიშვნელოვანია ამა თუ იმ საკითხში მათი შეხედულებების შედარება, წარმოთქმული იდეების ანალიზი და პასუხისმგებლობის გააზრება საკვლევო საკითხის ირგვლივ. მათ ესმით რომ 21-ე საუკუნის ტექნოლოგიებისა და გლობალიზაციის ერაში აუცილებელია შეძლო ინგლისურ ენაზე თუნდაც ელემენტალური კომუნიკაციის დამყარება.

გავაკეთე მონაცემთა ანალიზი, რათა გამეგო რამდენად დიდ როლს თამაშობს გარემო პირობები ამ უნარების განვითარებაზე. კვლევის არსი ხომ სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ დავადგინოთ რა გზებითა და საშუალებებით შეიძლება არსებული გარემოს შეცვლა მოსწავლეთა კომუნიკაციური უნარების გაზრდის ხელშეწყობისთვის.

მუდმივად უნდა ვიზრუნო იმაზე, რომ ჩემი მოსწავლეები უწყვეტად განვითარდნენ სხვადასხვა მიმართულებით, განსაკუთრებით კი თვითრეალიზაციის კუთხით. კომუნიკაციის უნარების ფლობა კი ამის უპირობო და უპირველესი საშუალებაა. პარალელურად უნდა ვიზრუნო თავადაც განვითარდე პროფესიული თვალსაზრისით. თანამედროვე განათლების სფეროში უკვე ხელმისაწვდომია გქონდეს ურთიერთობა სხვადასხვა ინგლისურენოვან სკოლებთან. მომავალში ვგეგმავ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადავდგე ამ მიმართულებით. მომავალ წელს ვგეგმავ მუდმივად ვაწარმოო დაკვირვების დღიური იმისთვის, რომ ჩავინიშნო ჩემი მოსწავლეების ძლიერი და სუსტი მხარეები. შევძლო გამოკვეთილი პრობლემები დავყო პრიორიტეტულ და ნაკლებად პრიორიტეტულ საკითხებად.

5.3 გაკვეთილის გეგმა

მასწავლებელი: რიმა კუპრეიშვილი

პირადი ნომერი : 39001013149

საგანი: ინგლისური ენა

თემა: I would like a cold drink

კლასი: VII

დრო: 45 წთ

მოსწავლის პროფილი: 6 მოსწავლე. სსსმ მოსწავლე არ არის

სტანდარტი: უცხ.ს.1. 1.2; უცხ.ს.1. 1.3; უცხ.ს.1. 1.6; უცხ.ს.1. 1.12; უცხ.ს.1. 1.23; (დანართი 1)

მიზანი: მოსწავლემ შეძლოს შეთავაზება, ტექსტის შინაარსის სწორად გაგება, გასცეს შეკითხვებს პასუხი some და any-ის გამოყენებით და ყოველ ჯერზე სწორად დააჯგუფოს თვლადი და უთვლადი არსებითი სახელები .

#	აქტივობის აღწერა	მეთოდი	კლასის ორგანიზების ფორმა	სასწავლო რესურსი	დრო
1	აქტივობა 1: საორგანიზაციო საკითხების მოგვარება: მიზანი: მოსწავლემ შეძლოს გაკვეთილის მიზნისა და	ვერბალური ახსნა	მთელ კლასთან	გაკვეთილის მიზნები, შეფასების	2წთ

	<p>შეფასების კრიტერიუმების გაგება.</p> <p>აღწერა: მასწავლებელი ესაღმება კლასს, აგვარებს საორგანიზაციო საკითხებს, აცნობს გაკვეთილის მიზანს, თემას, შეფასების რუბრიკას, ქცევის წესებს. დანართი 2.</p>			<p>რუბრიკა, დაფა, მაგნიტი.</p>	
2	<p>აქტივობა 2 : გონებრივი იერიში</p> <p>მიზანი: მოსწავლემ შეძლოს წინარე ცოდნის გააქტიურება, საგაკვეთილო თემაზე მობილიზება.</p> <p>აღწერა: მასწავლებელი აჩვენებს მოსწავლეებს საკვებისა და სასმელების ფლემქარდებს და ეკითხება მათ:</p> <p>1. What is this?</p> <p>მოსწავლეები პასუხობენ . ისინი ფლობენ სათანადო ლექსიკურ მასალას. მასწავლებელი კი დაფაზე წერს მოსწავლეების მიერ დასახელებულ სიტყვებს.</p> <p>მოსწავლეები ერთმანეთს ეკითხებიან წყვილებში და პასუხობენ უყვართ თუ არა მოცემული საკვები, სასმელი და ხილი. შემდეგ მასწავლებელი დაფაზე წერს სიტყვას საკვები (food) , სასმელი (drinks), ხილი (Fruit), ბოსტნეული (vegetable), სამზარეულოს ჭურჭელი (kitchen utensils) და სთხოვს მოსწავლეებს დაასახელონ და ჩაიწერონ სხვადასხვა სახის საკვები, სასმელი , ხილი, ბოსტნეული და</p>	<p>კითხვა-პასუხი</p>	<p>მთელ კლასთან; წყვილური; ინდივიდუალური;</p>	<p>დაფა, ცარცი, ფლემქარდები, რვეული, კალამი, კომპიუტერი, სახელმძღვანელო.</p>	<p>7 წთ</p>

<p>სამზარეულო ტექნიკა. მოსწავლეები ასრულებენ დავალბას. შემდეგ, მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს გადაშალონ გვ. 102-ის სვამს შეკითხვებს და მოსწავლეები პასუხობენ:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. Who is in the photo? 2. Where are they? 3. What can you see in the photo? 4. Do you know the difference between the dishwasher and the washing machine? What do you put in the dishwasher and in the washing machine? 5. Do you know the difference between the cup and glass? 				
<p>3 აქტივობა 3: ტექსტის გაცნობა მიზანი: მოსწავლეებმა შეძლონ ტექსტის მოსმენა, კითხვა და გაგება, წაკითხულის გააზრება. some და any -ის გამოყენება წინადადებებში. აღწერა: მასწავლებელი უხსნის მოსწავლეებს some და any -ის გამოყენებას. მასწავლებელი ეუბნება მოსწავლეებს, რომ ისინი მოისმენენ დიალოგს რაბის, დიანასა და პიერს შორის. სთხოვს მათ მოუსმინონ ყურადღებით და ჩაინიშნონ თუ რაზე საუბრობენ - (about barbecue party). შემდეგ ის სთხოვს მოსწავლეებს გადაშალონ სახელმძღვანელოში გვ. 102</p>	<p>ვიდეო მასალის მოსმენა; როლური კითხვა; კითხვა-პასუხი;</p>	<p>მთელი კლასი, ინდივიდუალური</p>	<p>კომპიუტერი, CD Tapescript Track - 3.17. სახელმძღვანელო, ჩხირები (დაწერილი მოსწავლეების სახელებით).</p>	<p>15 წთ</p>

<p>და წაკითხონ დიალოგი როლებში. ტექსტის კითხვისას გაუგებარი სიტყვის არსებობის შემთხვევაში მასწავლებელი ეხმარება ექსპლიციტური მეთოდით, კონტექსტის დახმარებით ან სინონიმის/ანტონიმის მეშვეობით. ტექსტის წაკითხვის შემდეგ მასწავლებელი ჩხირების გამოყენებით სვამს სახელმძღვანელოში გვ.102 სავ.მე-4 ში მოცემულ შეკითხვებს.</p> <ol style="list-style-type: none"> 1.Does Pierre want a cup of tea? 2.Would he like some fruit juice? 3.Does he want a banana? 4.Does Diana offer him a sandwich? 5.What is Diana going to buy? 6.Does Ruby like sausages now? 7.Why doesn't she eat any meat now? 8.What does Diana suggest they make? <p>მოსწავლეები პასუხობენ შეკითხვებს.</p>				
<p>4 აქტივობა 4 : სავარჯიშოების შესრულება. მიზანი: მოსწავლეებმა შეძლონ თვლადი და უთვლადი არსებითი სახელების დაჯგუფება,თვლადის მხოლოებითიდან მრავლობითში გადაყვანა,some და any -ის გამოყენება წინადადებებში. აღწერა:</p>	<p>პრაქტიკული სამუშაო</p>	<p>ინდივიდუალური</p>	<p>სახელმძღვანელო, რვეული და კალამი.</p>	<p>3 წთ</p>

<ul style="list-style-type: none"> • მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს განმარტონ თვლადი და უთვლადი არსებითი სახელები, მხოლოდითი და მრავლობითი რიცხვი. შემდეგ სთხოვს გადაშალონ სახელმძღვანელო გვ. 102-ზე და შეასრულონ სავარჯიშო მე- 4 ინდივიდუალურად. ამ ლევს მათ შესრულების მოკლე ინსტრუქციას. • ინდივიდუალური მუშაობის შესრულების შემდეგ მოსწავლეები კითხულობენ შესრულებულ დავალებას რიგრიგობით და მასწავლებელი ასწორებს დავალებას ზეპირად. • მოსწავლეები ინდივიდუალურად ასრულებენ მასწავლებლის მიერ მიწოდებულ „ჰენდაუთებს“ (some და any -ის ჩასმა) და მასწავლებელი ამლევს მათ შესრულების მოკლე ინსტრუქციას. • ინდივიდუალური მუშაობის შემდეგ მასწავლებელი სწორ 	<p>პრაქტიკული სამუშაო</p>	<p>ინდივიდუალური</p>	<p>„ჰენდაუთები“.</p>	<p>3 წთ</p>
---	---------------------------	----------------------	----------------------	-------------

	<p>პასუხებს წერს დაფაზე და მოსწავლეები ასწორებენ თავიანთ ნამუშევარს.</p> <p>დანართი 3.</p>				
5	<p>აქტივობა 5: მენიუ რესტორანში.</p> <p>მიზანი: მოსწავლეებმა შეძლონ ყოფითი საკომუნიკაციო სიტუაციისთვის თავის გართმევა, მონაწილეობა მიიღონ როლურ თამაშში, გამოიყენონ შექმნილი სიტუაციის შესაბამისი ლექსიკური და გრამატიკული ფორმები.</p> <p>აღწერა: მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს ინსტრუქციებს თუ როგორ შეადგინონ რესტორნის მენიუ რესტორნის მომხმარებელთათვის. ის სთხოვს სურვილისამებრ ჯგუფიდან აირჩიონ მოსწავლეებმა ერთი მოსწავლე, რომელიც შეასრულებს ოფიციალურ როლს, ჯგუფის დანარჩენი წევრი იყოს რესტორნის სტუმრები. ოფიციალტმა უნდა წარუდგინოს მისი ჯგუფის მიერ შექმნილი მენიუ სტუმრებს, სტუმრებმა კი შეუკვეთონ სასურველი საკვები.</p>	როლური თამაში	მთელი კლასი წყვილური	თაბახი, ფერადი ფანქრები, კალამი	10 წთ
6	<p>თვითშეფასება:</p> <p>მიზანი: გაიგოს მოსწავლეთა აზრი ჩატარებული გაკვეთილის შესახებ;</p>	შეფასება	ინდივიდუალური	თვითშეფასების კრიტერიუმი	2 წთ.

	<p>საკუთარი პროფესიული ზრდის მიზნით მოახდენს თვითშეფასებას წინასწარ მომზადებული სქემის მიხედვით</p> <p>აღწერა: მასწავლებელი მოსწავლეებს შესავსებად ურიგებს თვითშეფასების რუბრიკას (დანართი 4), მოსწავლეები ავსებენ წინასწარ მომზადებულ თვითშეფასების ფურცელს. მათთან ერთად მასწავლებელიც ავსებს მასწავლებლის თვითშეფასების რუბრიკას (დანართი 5).</p>				
7	<p>შეფასება: განმავითარებელი და განმსაზღვრელი</p> <p>მიზანი: მასწავლებელმა განმსაზღვრელი შეფასებით შეაფასოს რამოდენიმე მოსწავლე შეფასების რუბრიკის მიხედვით, საჭიროების შემთხვევაში მისცეს მათ რჩევები,</p> <p>აღწერა: მასწავლებელი რამოდენიმე მოსწავლეს აფასებს შეფასების რუბრიკის მიხედვით, აძლევს მათ უკუკავშირს.</p>	შეფასება	ინდივი- დუალური	შეფასების კრიტერიუმები	2 წთ
8	<p>საშინაო დავალების მიცემა</p> <p>მიზანი: ცოდნის დამოუკიდებლად განმტკიცება,</p> <p>აღწერა: მასწავლებელი დაფაზე წერს დავალების კონკრეტულ მითითებას: სამუშაო რვეული გვერდი 90.სავ. 2,3,5,6. მოსწავლეები ინიშნავენ დავალებას.</p>	ინსტრუქტა- ჟი	მთელი კლასი	სამუშაო რვეული, დაფა, ცარცი, დავალების რვეული, კალამი	1წთ

გაკვეთილის ბოლოს მისაღწევი შედეგები:

მოსწავლემ გაიგოს ტექსტის შინაარსი, უპასუხოს შეკითხვებს some და any- ის გამოყენებით, დააჯგუფოს თვლადი და უთვლადი არსებითი სახელები და შეძლოს რაიმეს შეთავაზება.

დანართი 1 სტანდარტი

მიმართულება: მოსმენა

უცხ.ს.I.1.2. მოსწავლეს შეუძლია მარტივი მითითებებისა და სავარჯიშოს ინსტრუქციების მოსმენა და გაგება.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- სათანადოდ რეაგირებს მასწავლებლის მითითებებზე.
- ასრულებს სავარჯიშოს.

უცხ.ს.I.1.3. მოსწავლეს შეუძლია ნაცნობ თემატიკაზე აგებული მცირე ზომის ტექსტის (დიალოგის/მონოლოგის) მოსმენა და გაგება.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ტექსტიდან ამოკრებს ფაქტობრივ ინფორმაციას (ვინ,სად,როდის,რამდენი,რომელი,როგორი და სხვა).

მიმართულება: კითხვა

უცხ.ს.I.1.6. მოსწავლე ფლობს ხმამაღალი კითხვის ელემენტარულ უნარს.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ხმამაღლა და გარკვევით კითხულობს ნასწავლ სიტყვებს,გამოთქმებს, წინადადებებს,ტექსტებს.

უცხ.ს.I.1.12. მოსწავლეს შეუძლია მცირე ზომის თხრობითი ტექსტის წაკითხვა და გაგება.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ამოიცნობს მოქმედებებს, მოვლენებს.

მიმართულება: დიალოგური მეტყველება

უცხ.ს.I.1.23. მოსწავლეს შეუძლია მარტივ ინტერაქციაში მონაწილეობა.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- სვამს და პასუხობს კითხვებს ნაცნობ თემატიკაზე (მაგ.ოჯახი,საცხოვრებელი ადგილი,არდადეგები,აქტივობები,ამინდი,საყვარელი ნივთი,ცხოველი და სხვა).
- მონაწილეობს სიმულაციურ სიტუაციებში (შეხვედრა,გაცნობა,კაფეში შეკვეთის მიცემა და სხვა).

დანართი 2

შეფასების რუბრიკა

შეფასება: განმსაზღვრელი

აქტივობა	1-2	3-4	5-6	7-8	9-10
კითხვებზე პასუხის გაცემა					
იდეების შეფასება					
ტექსტის კითხვა-გააზრება					
სავარჯიშოების შესრულება					
როლურ თამაშში მონაწილეობა					

დანართი 3

დანართი 4

შეფასების რუბრიკა მასწავლებლისთვის

№	მოსწავლის გვარი და სახელი	კითხვებზე პასუხის გაცემა	იდეების შეფასება	ტექსტის კითხვა-გააზრება	სავარჯიშოების შესრულება	როლურ თამაშში მონაწილეობა
1	გოგია გიორგი					
2	გოგია ლინდა					
3	პაპასკირი ლუკა					
4	ჟვანია ნათია					
5	ტორჩინავა მაკა					
6	შამათავა მანუჩარი					

დანართი 5

მოსწავლის თვითშეფასების რუბრიკა

N	კრიტერიუმები / ქულები	1	2	3
1	გაკვეთილის დაწყებამ გამოიწვია ჩემი დაინტერესება			
2	გაკვეთილზე მასწავლებელს ყურადღებით ვუსმენდი			
3	ჩემთვის ნათელი და გასაგები იყო მასწავლებლის მიერ მოცემული ინსტრუქციები			
4	მასწავლებელს საინტერესო აქტივობები ჰქონდა შერჩეული გაკვეთილისათვის			
5	აქტიურად ვიყავი ჩართული საგაკვეთილო პროცესში			
6	როლური თამაშისას ვიყავი აქტიური და წვლილი შევიტანე ჯგუფისთვის მიცემული დავალების შესრულებაში			

დანართი 6

მასწავლებლის თვითშეფასების რუბრიკა

N	კრიტერიუმები / ქულები	1	2	3
1	გაკვეთილის დაწყებამ გამოიწვია მოსწავლეთა დაინტერესება			
2	გაკვეთილზე მოსწავლეები ყურადღებით მისმენდნენ			
3	მოსწავლეებისათვის ნათელი და გასაგები იყო ჩემი მიცემული ინსტრუქციები			
4	საკმარისი მასალა მქონდა ტექსტის სრულად დასამუშავებლად			
5	სწორად გადავანაწილე დრო გაკვეთილის მსვლელობისას			
6	სწორად მქონდა შერჩეული აქტივობები საგაკვეთილო პროცესისათვის და დასახული მიზნის მიღწევისათვის			
7	ვამღებდი მოსწავლეებს დროს კითხვებზე პასუხის მოსაფიქრებლად			
8	შევძელი მოსწავლეების აქტიურად ჩართვა საგაკვეთილო პროცესში			
9	გაკვეთილის ბოლოს მოსწავლეებთან ერთად შევძელი დასახული მიზნების მიღწევა			

რეფლექსია

საგანი: ინგლისური ენა

კლასი: 7

მასწავლებელი: რიმა კუპრეიშვილი

დრო: 45 წთ

გაკვეთილის თემა: I would like a cold drink

გაკვეთილის მსვლელობით კმაყოფილი დავრჩი. ერთი მხრივ, მოსწავლეებმა გაამართლეს ჩემი მოლოდინი, მეორე მხრივ დაგეგმილმა აქტივობებმა სათანადოდ იმუშავა. გაკვეთილი წარმართე გეგმით გათვალისწინებული აქტივობების მიხედვით, მნიშვნელოვანი გადახვევა, მოდიფიცირება არ დამჭირვებია. ჩატარებული გაკვეთილის მიხედვით შემიძლია ვთქვა, რომ დასახული მიზნები მიღწეულია. შესაბამისად ვფიქრობ, რომ გაკვეთილის შედეგები შეესაბამებოდა წინასწარ განსაზღვრულ საგაკვეთილო მიზნებს. მინდა ვისაუბრო გაკვეთილის მიმდინარეობაზე, გამოვყო ძლიერი და სუსტი მხარეები: თავდაპირველად მოვაგვარე საორგანიზაციო საკითხები, მოსწავლეებს გავაცანი გაკვეთილის თემა, მიზანი, შეფასების რუბრიკა და ქცევის წესები. მოსწავლეები თავიდანვე აქტიურად ჩაერთვნენ საგაკვეთილო პროცესში. გონებრივმა იერიშმა და კვების ფლეშქარდების ჩვენებამ გამოიწვია მათი საგაკვეთილო თემაზე მობილიზება და მოტივირება. შემდეგ ავუხსენი მოსწავლეებს გრამატიკული მასალა some და any -ის გამოყენება წინადადებებში. გაკვეთილზე მათ ჯერ მოისმინეს დიალოგი და თქვეს თუ რაზე იყო დიალოგში საუბარი, შემდეგ როლებში წაიკითხეს ის და გასცეს ჩემ მიერ დასმულ შეკითხვებს პასუხი. შეკითხვების დასმისას გამოვიყენე ჩხირები მოსწავლეების სახელებით დაწერილი. ტექსტის კითხვისას ზოგი უცხო სიტყვა ავუხსენი მოსწავლეებს ექსპლიციტური მეთოდით, კონტექსტის დახმარებით, ზოგი კი - სინონიმის მეშვეობით. განხილული დიალოგის მეშვეობით მოსწავლეებმა შეძლეს შეთავაზების შეცნობა. შემდეგი აქტივობა იყო სავარჯიშოების შესრულება. მისი შესრულების წინ მოსწავლეებმა განმარტეს არსებითი სახელი, თვლადი და უთვლადი არსებითი სახელები, მხოლობითი და მრავლობითი რიცხვი, მივეცი მათ დავალების შესრულების მოკლე ინსტრუქცია. პირველი დავალება იყო სახელმძღვანელოში გვ. 102 მე-4 სავარჯიშო, სადაც მოცემული სიტყვები დააჯგუფეს თვლად და უთვლადებად ცხრილში, თვლადი მხოლობითი არსებითი სახელები კი გადაიყვანეს მრავლობითში. მოსწავლეებმა რიგრიგობით წაიკითხეს სიტყვები და ზეპირად გავასწორეთ დავალება. მე-2 დავალება იყო ჩემ მიერ წინასწარ მომზადებული ჰენდაუთები, სადაც მოსწავლეებმა ჩასვეს წინადადებებში some და any. ამ დავალების შესრულების წინ მივეცი მათ მისი შესრულების მოკლე ინსტრუქცია. სწორი პასუხები დაფაზე მივაწერე და მოსწავლეებმა თავად შეასწორეს დავალება. გაკვეთილის შეჯამების მიზნით, რომ მოსწავლეებს შეძლებოდათ შეთავაზების ფორმის განმტკიცება და გამოყენება ყოველდღიურ საკომუნიკაციო სიტუაციაში მოსწავლეებს შევთავაზე როლური თამაში: „მენიუ რესტორანში“. მათ ვთხოვე შეედგინათ მენიუ რესტორნისთვის და გაეთამაშებინათ დიალოგი ოფიციალტსა და სტუმრებს შორის საკვების შეკვეთა და შეთავაზება რაიმე

კერძის, სასმელის. ისინი საქმიანად ჩაერთვნენ მუშაობაში, გამოავლინეს შემოქმედებითი და თანამშრომლობის უნარი, ადგილზე შექმნეს საგაკვეთილო რესურსი, კერძოდ, მენიუ რესტორნისათვის, შემდეგ კი მოახდინეს მათი პრეზენტაცია. მინდა გამოვყო როლური თამაში. აღნიშნულმა აქტივობამ მოსწავლეებში დიდი ინტერესი გამოიწვია, შეძლეს ყოფითი საკომუნიკაციო სიტუაციისათვის თავის გართმევა. ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანი იყო მოსწავლეთა მიერ გაკვეთილის შეჯამება. რაც შეეხება შეფასებას, მოსწავლეები გაკვეთილის ბოლოს შევაფასე განმსაზღვრელი შეფასებით, წინასწარ შედგენილი შეფასების რუბრიკის მიხედვით, რომელიც მოსწავლეებს გაკვეთილის დაწყებისას გავაცანი გაკვეთილის თემასთან და მიზნებთან ერთად. განმავითარებელ შეფასებას კი ვაძლევდი გაკვეთილის მსვლელობისას. განმსაზღვრელი შეფასების შემდეგ მე და მოსწავლეებმა ერთდროულად შევავეთ თვითშეფასების რუბრიკა, რომელიც დამეხმარა გამეგო მოსწავლეთა მოსაზრებები ჩატარებულ გაკვეთილთან დაკავშირებით. გაკვეთილის ბოლოს მოსწავლეებს საშინაო დავალებად მივეცი სამუშაო რვეულიდან დავალება გვ. 90 №2, 3, 5 და 6 სავარჯიშო.

გაკვეთილის მსვლელობისას დავინახე ხარვეზი, კერძოდ, ვფიქრობ უკეთესი იქნებოდა ჯგუფური მუშაობისას გამომეყო ორი ჯგუფი ნაცვლად ერთისა. უკეთ დავინახავდი თითოეული მოსწავლის აქტიურობას და წვლილს დასახული მიზნის მისაღწევ სამუშაოში. ასევე უმჯობესი იქნებოდა მეტი დრო მიმეცა მოსწავლეებისათვის კითხვებზე პასუხის მოსაფიქრებლად. მომავალში მსგავსი ტიპის გაკვეთილის მომზადებისას, გავითვალისწინებ ამ გაკვეთილის გამოცდილებას და სხვაგვარად წარვმართავ იმ მონაკვეთს, რომელშიც ხარვეზი დაფიქსირდა, კერძოდ, ჯგუფური მუშაობისას შევეცდები ჯგუფში მოსწავლეთა რაოდენობა არ აღემატებოდეს სამს ან ოთხს, კითხვების დასმისას მეტ დროს მივცემ მოსწავლეებს პასუხის მოსაფიქრებლად.

ამრიგად, ჩატარებულმა გაკვეთილმა ხელი შეუწყო მოსწავლეებს შეთავაზების უნარის გამოყენებაზე. გაკვეთილის შედეგად მიღებული ინფორმაცია დაეხმარებათ მათ ყოველდღიურ საკომუნიკაციო სიტუაციისთვის თავის გართმევაში, შეძლონ რაიმეს შეთავაზება და შეკვეთა რესტორანში, კაფეში. მოსწავლეებმა შეძლეს გაკვეთილის ბოლოს ჩემ მიერ დასახული მიზნების და შედეგების რეალიზება დაგეგმილი აქტივობების, გამოყენებული მეთოდების და საგაკვეთილო რესურსის მეშვეობით. ყველა მოსწავლე აქტიურად იყო ჩართული საგაკვეთილო პროცესში.

დასკვნა

ზემოთ აღნიშნული საკითხების საფუძველზე გამოვიტანე დასკვნა:

- ✓ კომუნიკაცია ეფექტური სასწავლო პროცესის უმნიშვნელოვანესი კომპონენტია. ეფექტური კომუნიკაციისთვის მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ის, რას ვამბობთ, არამედ ისიც, თუ როგორ ვამბობთ ჩვენს სათქმელს. აზრის ჩამოყალიბებისა და მისი ეფექტურად მიწოდების უნარის განვითარებას პრაქტიკული ვარჯიში სჭირდება. სკოლა უცხოური ენის ათვისების მთავარი წყაროა. ის მნიშვნელოვან როლს ასრულებს მოსწავლეებში ენობრივ-საკომუნიკაციო უნარების განვითარებაში. შესაბამისად, სკოლაში აუცილებლად უნდა შეიქმნას უცხოური ენების დაუფლებისათვის საჭირო გარემო. მოსწავლეს უნდა მივცეთ ისეთი ცოდნა, რომ მან შეძლოს უცხოურ ენაზე მეტყველება, წარმატებული კომუნიკაცია სხვა კულტურის წარმომადგენლებთან. ენა ხომ მეტყველებაში რეალიზდება. უცხო ენაზე კომუნიკაცია ეფუძნება ფიქრების, გრძნობებისა და ფაქტების გაგების, გამოხატვისა და ინტერპრეტირების უნარს, როგორც ზეპირი, ასევე, წერიტი ფორმით. უცხო ენაზე კომუნიკაცია მოითხოვს ასევე ისეთი უნარის ქონას, როგორცაა ინტერკულტურული გაგება. უნარ-ჩვევები შეიცავს მოსმენილი ინფორმაციის გაგებას, საუბრის წამოწყებას, წარმართვას და დასრულებას. ზეპირმეტყველების მეცადინეობის დროს სტუდენტებს, როგორც წესი, მოეთხოვებათ რაც შეიძლება მეტი ტექსტის უცხო ენის სწავლების საწყის ეტაპზე მოსწავლის ალაპარაკება ჭირს, ამიტომაც სწავლების სტრატეგია რეპროდუცირებისკენ უნდა იყოს მიმართული. რეპროდუცირების მიზანია სწორი გამოთქმის ჩამოყალიბება და ლექსიკური მარაგის გამდიდრება. ამ მიზნით მასწავლებლები იყენებენ ლექსებს, სიმღერებს, დიალოგებს, სკეტჩებს, როლურ თამაშებს, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეთა ალაპარაკებას. საერთო ფაქტორი ყველა კომუნიკაციური სტრატეგიის არის ის, რომ მოსწავლეს უწევს თავი გაართვას იმ კონკრეტულ სიტუაციაში, სადაც არ იცის სიტყვა. სტრატეგიები მოითხოვს გულმოდგინე მუშაობას ლექსიკურ ხარვეზებზე. ამასთან ყურადღება მიპყრობილია სწორი წარმოთქმის გამომუშავებაზე და გრამატიკული შეცდომების აღმოფხვრაზე. მასწავლებელი უნდა შეეცადოს კლასში

იმ მომენტისთვის აქტუალური საკითხის კომუნიკაციის თემად ქცევა, მაშინაც კი თუ ეს თემა სახელმძღვანელოში არ არის მოცემული.

- ✓ ალტერნატიული მეთოდებისა და მიდგომების საშუალებით შესაძლებელია მოსწავლეებისათვის მოტივაციის ამაღლება კომუნიკაციური უნარ-ჩვევების განვითარებისათვის, მათი გააქტიურება და წახალისება. ამ მეთოდების გამოყენებით, როგორცაა: აუდიო-ლინგვური, აუდიო-ვიზუალური, კომუნიკაციური, პირდაპირი, ბუნებრივი, შერეული, შინაარსზე დაფუძნებული და სრული ფიზიკური რეაგირება/პასუხის მეთოდები ჩვენ ხელი უნდა შევუწყოთ მოსწავლეებს, რომ განვითარონ ძირითადი ენობრივი უნარები .
- ✓ კომუნიკაციის უნარის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია, რამდენად კარგად და სწორად იყენებს მოსწავლე თითოეულ სტრატეგიას და ტექნიკას კომუნიკაციის დროს.
- ✓ სწავლების თითოეულ მეთოდს მოეთხოვება:
 - შემსწავლელისათვის გასაგები, ადვილად მისაწვდომი და დასაძლევია გახადოს სასწავლო მასალა;
 - უზრუნველყოს შემსწავლელის ინტენსიური წინსვლა უმოკლესი გზით არცოდნიდან ცოდნისაკენ;
 - გამოიწვიოს მასში ცნობისმოყვარეობა, გაკვირვება, აქტიურობა ინგლისური ენის და ამ გზით ხელი შეუწყოს მოსწავლის შემეცნებითი უნარების განვითარებას;
 - უზრუნველყოს სწავლების განმავითარებელი ფუნქციის განხორციელება პედაგოგიური პროცესის ყველა ეტაპზე და სხვ.
 - ინგლისური ენის სწავლების ძირითად მიზანს დღეს კომუნიკაციური კომპეტენციის, ანუ კომუნიკაციური უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება წარმოადგენს. ინგლისური ენაზე კომუნიკაციის დამყარებისათვის საჭიროა, მოსწავლეს გამოუმუშავდეს შემდეგი კომუნიკაციური უნარ-ჩვევები:
 - ✓ მოსმენა
 - ✓ ლაპარაკი
 - ✓ კითხვა
 - ✓ წერა.

- კვლევა აჩვენებს, რომ ალტერნატიული მეთოდების გამოყენება ეხმარება მოსწავლეებს კომუნიკაციური უნარ-ჩვევების განვითარებაში. სწავლის პროცესში ამ ტექნიკების საშუალებით მოსწავლეებს უნარჩუნდებათ და უმაღლდებათ მოტივაცია. ისინი ცდილობენ აქტიურად იყვნენ ჩართულნი საგაკვეთილო პროცესში, რაც უმთავრეს ფაქტორს წარმოადგენს კომუნიკაციის უნარის გასავითარებლად.

ჩატარებული ექსპერიმენტის შედეგად ვნახეთ, რომ კომუნიკაციური ტექნიკების გამოყენება უწყობს ხელს მოსწავლეს განვიითაროს კომუნიკაციის უნარი. კარგად გაართვას თავი ნებისმიერი ტიპის კომუნიკაციას, შეემძლოს მისი შინაარსის სწორად გაგება და წარმოთქმა.

წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომი ხელს შეუწყობს კომუნიკაციის უნარ-ჩვევების განვითარებას, უფრო მეტად ეფექტურს გახდის ინგლისური ენის სწავლებას. რადგან ენა საკომუნიკაციო დონეზე უნდა იქნეს შესწავლილი, ჩვენი გამოყენებული სტრატეგიები გააიოლებს ინგლისური ენის კომუნიკაციის დონეზე გამოყენებას.

ამგვარად, უცხო ენების პედაგოგებს მოვუწოდებ, გამოიყენონ ის სტრატეგიები და ხერხები, რომელიც დაგვეხმარება სასურველი შედეგის მიღწევაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გიორგობიანი, ლ., კახიშვილი, ლ., მაცხოვნაშვილი, გ., ქვლივიძე, რ. 2004. უცხო ენების სწავლების თეორია და მეთოდოლოგია. თბილისი: გამომცემლობა ენა და კულტურა.
2. ევექტიანი სწავლება-თეორია და პრაქტიკა. 2010წ. გამოცდების ეროვნული ცენტრი. კვლევის დეპარტამენტი.
3. ინტერპერსონალური კომუნიკაცია. 2010წ. ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი.
4. ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები. 2011წ. ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი.
5. ნოზაძე, ა. 2008წ. ინგლისური ენის სწავლების მეთოდოლოგია დაწყებით სკოლაში. თბილისი.
6. სასწავლო და პროფესიული გარემო. 2008წ. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი.
7. სწავლება და შეფასება. 2012წ. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი.
8. შავერდაშვილი ეკატერინე . 2014წ. ნაწილი I. უცხოური ენების სწავლების საფუძვლები-ილ. ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისი.
9. ჩინჩალაძე, ლ. 2008 . უცხოური ენის სწავლებისა და სწავლის თანამედროვე სტრატეგიები. თბილისი: მერიდიანი
10. <https://www.facebook.com/notes/ibsu-training-center-შავი-ზღვის-საერთაშორისო-უნივერსიტეტის-ტრენინგ-ცენტრი/კომუნიკაცია-რაობა-და-სახეები/775384709146728/>.
11. Antony, E. 1963. Approach, method and technique. English Language Teaching
12. Asher, J.1977. Learning another language through actions: the complete teacher's guidebook. Los Gatos: Sky Oaks Productions).
13. Breen, M., and Candlin, C. 1980. The Essentials of a Communicative Curriculum in Language Teaching. Applied linguistics.
14. Brown, D. 2000. Principles of Language Learning and Teaching. New York: Longman.

15. Brown, D. 2007. Teaching by principles: an interactive approach to language pedagogy. (3rd ed.) San Francisco State University: Pearson Longman.
16. Carter, R., and Nunan, D. 2001. The Cambridge Guide to Teaching English to Speakers of Other Language. Cambridge University Press.
17. Chomsky Noam. 1965. Aspects of the Theory of Syntax. Cambridge. M.I.T. Press.
18. Dennis G. Wiseman; Gilbert H. Hunt; 2014. Best practice in motivation and management in the classroom - third edition; Charles C Thomas. publisher. LTD.
19. Douglas Brown. H. 2001. Teaching by Principles. Interactive Approach. Second Edition. USA.
20. Faerch, C., and Kasper, G. 1983. Strategies in interlanguage communication. London. Longman.
21. Farrell, Th. and Jacobs, G. 2010. Essentials for successful English Language Teaching. London: Continuum.
22. Gardner. R. C. 2003b. Correlation, causation, motivation and second language acquisition. Canadian psychology.
23. Harmer Jeremy. 1991. The Practice of English Language Teaching, Pearson Longman.
24. Hatch, E. 1978a. Discourse Analysis and Second Language Acquisition in Hatch (ed).
25. Howatt, A. A History of English Language Teaching. Oxford: OUP. 1984.
26. Hymes. D.H. 1972. On Communicative Competence in J.B. Pride and J. Hones (eds): Socio-linguistics. Harmondsworth: Penguin.
27. Krashen, S., Terrell, T. 1983. The natural approach: language acquisition in the classroom. Oxford, UK: Pergamon Press.
28. Larsen-Freeman, D. 1986. Techniques and Principles in Language Teaching. New York: Oxford University Press .
29. Larsen -Freeman, D. and Long, M. H. 1991. An Introduction to Second Language Acquisition Research. Longman. London and New York.
30. Lightbown, P. and Spada, N. 1993. How Languages are learnt. Oxford: Oxford University Press.

31. Littlewood, W. T. 1984. *Foreign and Second Language Learning*. Cambridge University Press.
32. Littlewood, W. 1996. *Communicative Language Teaching: An Introduction*. Cambridge: Cambridge University Press.
33. Nizharadze, N; Darchia, M; Tevzaia, M; Tkavashvili, E. 2008. *Becoming an English teacher: theory and practice of teaching English in Georgia*. Tbilisi: British Council.
34. Nunan, D. 2004. *Task-based language teaching*. Cambridge: Cambridge University Press.
35. Nunan, D. 2005. *Practical English Language Teaching - Young Learners*. New York: McGraw Hill.
36. O'Malley, J. M. and Chamot, A. U. 1990. *Learning strategies in second language acquisition*. Cambridge: Cambridge University Press.
37. Oxford, R.L. 1990. *Styles, strategies, and aptitude: Connection for language learning*. In T. S. Parry and C. W. Stansfield (Eds.), *Language aptitude reconsidered*. Englewood Cliffs, NJ: Prentice Hall.).
38. Oxford, R.L. 1990b. *Language learning strategies: What every teacher should know*. Boston: Heinle & Heinle. URL Retrieved January 25, 2010.
39. Oxford, R. L. 2001. *Integrated skills in the ESL/EFL classroom*, ERIC Digest # EDO-FL-01-05. URL Retrieved September 10, 2010.
40. Palmer, H. 1964. *The principles of language study*. London: Oxford University Press.
41. Penny. Ur. *A Course in Language Teaching: Practice and Theory*. Cambridge: CUP. 1996.
42. Poulisse, N., Bongaerts, T., & Kellerman, E. 1984. *On the use of compensatory strategies in second language performance*. *Interlanguage Studies Bulletin*.
43. Richards, J. and Rodgers, T. 1986. *Approaches and methods in language teaching*. Cambridge University Press.
44. Roche. 2001. *Interkulturelle Sprachdidaktik; Eine Einführung*. Narr, Tübingen.
45. Selinker, L. 1972. *Interlanguage*. *International review of applied linguistics*
46. Strayker, S., and Leaver, B. 1993. *Content-Based Instruction in Foreign Language Education*. Washington D.C: Georgetown University Press.

47. Swan. M. and Walter. C. The New cambridge English Course 1. Teacher's Book. Cambridge: CUP.1990.
48. Tarone, E. 1980. Communicative Strategies, Foreigner Talk and Repair in Interlanguage. Language Learning.
49. Tarone, E. 1977. Conscious communication strategies in interlanguage: A progress report. In Brown, H., Yorrio, C., Crymmes, R. (eds.) on TESOL 77. Washington DC: TESOL
50. Биболетова, М. 1985. Обучение грамматической стороны разговора на английском языке учащихся 1-3 кл ассов общеобразовательной школы.).
51. Соловова. Е.Н. 2002. Методика обучения иностранным языкам Базовый курс лекций. Москва Просвещение.